# იმედი +

ყოველთვიური ჟურნალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის

№ 12 (60) დეკემბერი 2015 წ.




## ცხელი ხაზი შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე

„მაკლეინის ასოციაციაში ბავშვებისათვის" ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ და მიიღონ ინფორმაცია, როგორც ჩვენს, ასევე იმ ორგანიზაციების სერვისების შესახებ, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე.

სამუშაო საათები: ორშაბათი, პარასკევი, $10^{00}$–$18^{00}$

ცხელი ხაზი: 558 055 588; 599 588 226

www.macgeorgia.org



ISSN 1987-7161
977198771600

**მთავარი რედაქტორი**

თეიმურაზ მიქიაშვილი
593 33 58 87
info.imediplus@gmail.com

**რედაქტორი**

მაია ასაკაშვილი
asakashvili_maia@yahoo.com

**დიზაინერი**

მეგი ლაფაჩი

**გამომცემელი**

კავშირი „იმედი პლიუსი“

**დამფუძნებლები**

**თეიმურაზ მიქიაშვილი**
**კარლო მუშკუდიანი**
**ალექსი მუშკუდიანი**
**გიორგი მუშკუდიანი**
**მიხეილ მიქიაშვილი**

**საკონტაქტო ინფორმაცია**

ქ.თბილისი, 0179, ზ.ფალიაშვილის ქ. N47ბ, მე-2 სადარბაზო, ბინა 12.
0 800 900 902
pr_imediplus@yahoo.com
info.imediplus@gmail.com
ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში.
თბილისი, 0163, ჩუბინაშვილის ქ.N50

2016 წლის აპრილიდან მასწავლებლების ხელფასი 600-700 ლარი გახდება, ....2
მერია თბილისის ადაპტირების სამწლიანი გეგმის განხორციელებას იწყებს....2
ადაპტირებული ტრანსპორტი სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებს ....3
თანამშრომლობა თუ ინტერესთა კონფლიქტი....3
სპორტული ზეიმი გლდანის რაიონის მუნიციპალიტეტში ....5
ინკლუზიური ტურიზმის მესამე საერთაშორისო კონფერენცია....5
ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მხარდამჭერი კამპანია ....6
მცხეთა ინკლუზიური ტურიზმისთვის სრულიად ადაპტირებული იქნება ....7
ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესახებ....7
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კეთილი თანადგომა ....8
სამების ახალგაზრდულ ცენტრში შშმ პირთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა ....8
ტრენინგი თერჯოლაში ....9
მულტიდისციპლინური გუნდის ტრენინგი....9
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა ....9
„მოგზაურობა პიროვნებამდე“ - ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის გამოწვევები ....10
ინტერვიუ საკუთარ თავთან, ანუ კითხვები რომლებზეც ურეკი - ელიტა....12
გამარჯობა, ჩემო უცნობო მეგობარო....13
პარაოლიმპიური მაცნე ....15
ლუდვიგ გუტმანი - პარაოლიმპიური თამაშების დამაარსებელი....16
საქართველოს პარაოლიმპიური მოძრაობა დღეს ....17
ზვიად გოგოჭურის წარმატება ....18
ადოება ....19
სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც უსინათლოთათვის არ არსებობს....21
სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების „დამოუკიდებელი“ ცხოვრება....22
სიგარეტის მწარმოებლების მიერ გამხელილი საიდუმლო – თამბაქოს მომაკვდინებელი შემადგენლობა....24
სიკეთის სასწაული ....25
სიყვარული და მონანიება ....25
ბრმად ბეჭდვის შესასწავლი მარტივი მეთოდი და წესები....26
გონებრივი ჩამორჩენილობა ....27
ზურგის ტკივილის პროფილაქტიკა ....29
როგორ ამოვიცნოთ დეპრესია....30
პასუხი რედაქციას ....32

**ჟურნალი გამოდის „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.**

ყდის ბოლო გვერდზე განთავსებული ფოტოს ავტორი თეიმურაზ მიქიაშვილი.

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭვდა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ჟურნალი გამოდის 2008 წლის ოქტომბრიდან
ჟურნალს თან ახლავს 4-4 გვერდიანი ინგლისური და რუსულენოვანი ჩანართი

## ახალი ამბები

# 2016 წლის აპრილიდან მასწავლებლების ხელფასი 600-700 ლარი გახდება, ივლისიდან კი პენსიები 180 ლარამდე გაიზრდება



ირაკლი ღარიბაშილის განცხადებით; 2016 წლის აპრილიდან მასწავლებლების საშუალო ხელფასი 600-700 ლარი გახდება.

როგორც მთავრობის სხდომაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, 2015 წლის პირველი აპრილიდან ხელფასების ზრდის მეორე ეტაპი დაიწყო და მასწავლებლების ხელფასი 405 ლარი გახდა.

პრემიერმა მეცნიერთა ხელფასების შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მეცნიერების ხელფასები 300-300%-ით გაიზარდა, საშუალო კვლევითი დაწესებულების მეცნიერ-მუშაკის ხელფასი კი დღეისათვის 600-700 ლარია.

ამასთან, როგორც მთავრობის სხდომაზე განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ აღნიშნა, განათლების ბიუჯეტი 372 მილიონი ლარით არის გაზრდილი.

მისივე განცხადებით, 2017 წელს მასწავლებელთა ხელფასი კიდევ გაიზრდება.პრემიერის განცხადებითვე, 2016 წლის 1 ივლისიდან პენსიები 180 ლარი გახდება

მისივე თქმით, მთავრობამ თავიდანვე განაცხადა, რომ ბიუჯეტი იქნებოდა სოციალურად ორიენტირებული და მომავლი წლის ბიუჯეტიც ასეთი იქნება.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, ეს სახსრები განკუთვნილი იქნება პენსიებისა და პედაგოგების საბაზო ხელფასებისთვის, ასევე მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაზე და სხვა. როგორც პრემიერმა აღნიშნა, "გუნდმა გადაწყვეტა, რომ 2016 წლის 1 ივლისიდან პენსიები გახდეს 180 ლარი".

"2012 წლიდან ჩვენ პენსიები გავზარდეთ დაახლოებით 64%-ით. ეს არის 600 მილიონ ლარამდე, თუ შევადარებთ 2012 წლის ბიუჯეტს ამ მიმართულებით", - განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ძალიან მნიშვნელოვანია, დაინერგოს პენსიის დაგროვებითი სისტემა და ეტაპობრივად გადავიდეთ ახალ სისტემაზე.

პრემიერმა ჯანდაცვის ბიუჯეტზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ 2016 წლიდან ჯანდაცვის ბიუჯეტი 3 მილიარდ 100 მილიონი ლარი იქნება. "თუ ჯანდაცვის ბიუჯეტი 2012 წელს მილიარდ 800 მილიონ ლარს შეადგენდა, 2016 წელს ის 3 მილიარდ ლარს გადააჭარბებს. ჯანდაცვის ბიუჯეტი დაახლოებით 3 მილიარდ 100 მილიონი იქნება. მხოლოდ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისთვის გამოყოფილი იქნება დაახლოებით 570 მილიონ ლარამდე, რაც 2012 წელს არ იყო გათვალისწინებული. ყველას მინდა შევახსენო, რომ ყველა მოქალაქე არის დაზღვეული და სახელმწიფო მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარჯებს ფარავს", - აღნიშნა პრემიერმა.

- See more at: http://politcommersant.ge/detalpage.php?newsid=2716#sthash.4OztkVU6.dpuf

# მერია თბილისის ადაპტირების სამწლიანი გეგმის განხორციელებას იწყებს

2016 წლის იანვარიდან თბილისის მერია ქალაქის ადაპტირების სამწლიანი გეგმის განხორციელებას დაიწყებს. გეგმის ფარგლებში, უნივერსალური დაპროექტების პრინციპების გათვალისწინებით, მოხდება 315 მუნიციპალური შენობა-ნაგებობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების ადაპტირება. სამშენებლო პროექტისათვის, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ჯამში 14 000 000 ლარი გამოიყოფა.

ადპატირების სამწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელების, გზის სავალი ნაწილის, სარეკრეაციო ზონების, კულტურული და სპორტული დაწესებულებების, ბაგა-ბაღების და ადმინისტრაციული შენობების ხელმისაწვდომობას, ყველა კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის.

თბილისის ადაპტირების გეგმის განხორციელებაში მონაწილეობას მერიის საქალაქო სამსახურები და რაიონული გამგეობები მიიღებენ.

# ᲐᲓᲐᲞᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲡ



მერის წინასაარჩევნო დაპირების შესაბამისად, თბილისის მერია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ადაპტირებული ტრანსპორტით უზრუნველყოფას იწყებს.

„ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის“ პროგრამის ფარგლებში, თბილისის მერიამ ორი ადაპტირებული მიკროავტობუსი შეიძინა, რის შემდეგაც, პირველ ეტაპზე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შეირჩა 4 საჯარო სკოლა, რომელსაც აღნიშნული მიკროავტობუსები მოემსახურება; ესენია - N173, N87, N177 და N191 საჯარო სკოლები. ახალი სერვისით ამ ეტაპზე 14 განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლე ისარგებლებს. მიკროავტობუსების ტრანსპორტირებისა და ექსპლუატაციის ხარჯებს თბილისის მერია სრულად უზრუნველყოფს.

დავით ნარმანიას განცხადებით, 2016 წელს დაგეგმილია გეოგრაფიული არეალის გაზრდა და დამატებით 6 ადაპტირებული ტრანსპორტის შესყიდვა, რაც კიდევ უფრო აამაღლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მობილურობას და სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხს, ამასთან, აღნიშნული პრობლემა დედაქალაქში სრულად იქნება მოგვარებული.

,,თბილისის მერია აქტიურად ზრუნავს, რომ შშმ პირები მაქსიმალურად იყვნენ ადაპტირებულები, შესაბამისად, ჩვენ წელს განსაკუთრებული აქცენტი მოზარდებზე გავაკეთეთ. სპეციალურად შევიძინეთ ორი ადაპტირებული მიკროავტობუსი, რომლითაც ბავშვები სკოლაში ივლიან. გარდა ამისა, მომავალ წელს, დამატებით, გავითვალისწინეთ 6 ადაპტირებული ავტობუსის შეძენა და ამით დედაქალაქში არსებული აღნიშნული პრობლემა სრულად იქნება მოგვარებული. ამასთან, 2 კვირის წინ, თბილისის მთავრობის სხდომაზე დავამტკიცეთ მუნიციპალური შენობა-ნაგებობებისა და სივრცეების ადაპტირების 3 წლიანი პროგრამა, რომლის შესაბამისადაც ყველა მუნიციპალური შენობა-ნაგებობა და ძირითადი სივრცე იქნება ადაპტირებული. ამ მიმართულებებით 3 წლის განმავლობაში 14 000 000 ლარი დაიხარჯება“, - განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

თბილისის მერიის ახალი პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების დამოუკიდებელ და უსაფრთხო გადაადგილებასა და სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართულობას.

# ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲗᲣ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ



*გიორგი გოგუა*

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციამ „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის„ საზოგადოებას წარუდგინა პროექტი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირება“. პრეზენტაციაზე, რომელსაც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში იან კელიც ესწრებოდნენ, პროექტის გამოწვევებსა და

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ →



სახელმწიფოს ჩართულობით მიღწეულ შედეგებზე ისაუბრეს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა თემაზე მომუშავე ორგანიზაციების ნაწილი ამ პროექტის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი.

საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგება, რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა ორგანიზაციების გაძლიერება, საჯარო მოხელეების, იურისტებისა თუ სტუდენტების ინფორმირება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება - ესაა ამოცანები პროექტისა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) დააფინანსა.

გიორგი ძნელაძემ, წარმომადგენელმა ამ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისა „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის„, პროექტის წარდგენისას მათ საქმიანობაში ამერიკის საელჩოსა და საქართველოს მთავრობის ჩართულობაზე ისაუბრა:

„დღევანდელ სიტუაციაში პროცესები დემოკრატიის მიმართულებით წარიმართა. თუ დღეს არის დისკრიმინაცია, - და, ალბათ, არის, - ჩვენ სასამართლოში ვამტკიცოთ და შევქმნათ პრეცედენტები ამ კუთხით„.

დამსწრეებს მიმართა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმაც. მან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა პრობლემების მოგვარებაში სახელმწიფოს მიღწევებზე გაამახვილა ყურადღება:

„საქართველოს 2009 წელს ჰქონდა ხელი მოწერილი შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციაზე. 2009 წლიდან მისი რატიფიცირება არ ხდებოდა. ჩვენ 2014 წლის 13 მარტს, წინააღმდეგობების მიუხედავად, მთავრობის ინიციატივით, პრემიერის მხარდაჭერით, რომელიც თქვენი უფლებების დაცვის საბჭოს ხელმძღვანელობს, პარლამენტმა რატიფიკაცია მოახდინა„.

იუსტიციის მინისტრმა დააანონსა, რომ საჯარო რეესტრი ამონაწერების ბრაილის შრიფტით გაცემას დაიწყებს და მომავალში ეს სისტემა იუსტიციის სახლებშიც დაინერგება.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამართლებრივი ადვოკატირების„ პროექტის მიზნებისა და ამოცანების გაცნობისას იუსტიციის სამინისტროს მხარდაჭერაზე ისაუბრეს წარმომადგენლებმაც „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის„. უფლებადამცველთა საქმიანობაში სახელმწიფოს სწორედ ასეთი ჩართულობა აწუხებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციების ნაწილს.

„არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა აირჩიონ, უნდათ იყვნენ მჭიდრო კავშირში მთავრობასთან თუ მოდარაჯე ძალლების, ე.წ. ვოჩდოგების, როლი შეასრულონ„, - ამბობს ანა არგანაშვილი, წევრი ორგანიზაციისა „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის„. - „თუ ჩვენ, ანუ არასამთავრობოების დიდი ნაწილი, ვიქნებით კონფორმისტები და სახელმწიფოს ყველაფერს მოვუწონებთ, ტაშს დავუკრავთ, მაშინ ვერ დავიცავთ იმათ უფლებებს, ვისაც უნდა ვიცავდეთ, რადგან თუ ვინმე შშმ ადამიანების უფლებებს არღვევს, ეს არის სახელმწიფო, თავისი უმოქმედობით„.

ანა არგანაშვილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო სექტორი უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სახელმწიფოს უნდა აკონტროლებდეს.

ასევე ფიქრობს გია ჯვარშეიშვილი, წარმომადგენელი მოძრაობისა „ინკლუზიური საზოგადოება - საქართველო„ და არასამთავრობო ორგანიზაციისა „ვიმეგობროთ„. ის ამბობს, „არ შეიძლება ვთქვათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის დღეს საქართველოში რომელიმე სფერო ნორმალურ მდგომარეობაშიაო... ჩვენ ყოველ დღე ვხედავთ ადამიანებს, რომლებსაც უამრავი პრობლემა აქვთ, დაწყებული გადაადგილებით, გაგრძელებული განათლებით და დასაქმებით დასრულებული. ეს წერია ყველგან, დაწყებული სახალხო დამცველის ანგარიშით, დამთავრებული ჩვენი ევროპელი სტრატეგიული პარტნიორების დასკვნებით. ანუ ეს არ არის ერთი და ორი არასამთავრობო ორგანიზაციის აზრი - ეს არის ყველა საერთაშორისო და სანდო ინსტიტუტის დამოკიდებულება„.

გია ჯვარშეიშვილისთვის მიუღებელია ისიც, რომ სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია რომელიმე სამინისტროს საბჭოს წევრიც იყოს და, ამავდროულად, სახელმწიფოს აკრიტიკებდეს. მისი თქმით, როდესაც 2014-2016 წლის სამთავრობო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა პრობლემების კუთხით, ფაქტობრივად, არ სრულდება, არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფოსთან ერთად მუშაობა ინტერესთა კონფლიქტია.

http://www.radiotavisupleba.ge/content/tanamshromloba-tu-interesta-konplikti

# სპორტული ზეიმი გლდანის რაიონის მუნიციპალიტეტში



*თეიმურაზ მიქიაშვილი*

17 თებერვალს ქ. თბილისის გლდანის რაიონის გამგეობამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სპორტული ზეიმი მოუწყო. ეს წინასაახალწლო ღონისძიება საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის დახმარებით ჩატარდა სპორტის ორ სახეობაში - ნარდსა და მკლავჭიდში, რომელიც, შეიძლება ითქვას მძაფრ და აზარტულ ორთაბრძოლებში გადაიზაედა. ამას მოწმობს მონაწილეთა სიმრავლეც. ნარდში ასპარეხობდა ორმოცი მონარდე, ხოლო მკლავჭიდში 27 მკლავჭიდელი.





გლდანის რაიონის გამგეობამ ყველაფერი გააკეთა ამ სპორტული ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის, იყო საზეიმო განწყობა, მეგობრული ატმოსფერო, წამახალისებელი პრიზები და სპორტული აზარტი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მძაფრი ორთაბრძოლებით გამოირჩეოდა.

მკლავჭიდში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: მარცხენა ხელით მოასპარეზეთა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში: I დავით ქობალია, მე-2 აკაკი ჯინჭარაძე, მე-3 გურამ გვანცელაძე.

მარჯვენა ხელით მიასპარეზეთა მსუბუქ წონით კატეგორიაში - I ადგილი- გიორგი გვანცელაძე, მე-2 ლაშა ლომიძე, მე-3 გიორგი შურღულაია.

მარჯვენა ხელით მოასპარეზეთა მძიმე წონით კატეგორიაში -1 ადგილი - დავით ქობალია, მე-2. აკაკი ჯინჭარაძე, მე-3.მამუკა ქაბულდანი.

პირველ, მეორე და მესამე საპრიზო ადგილებზე გასული პარასპორტსმენები დაჯილდოვდნენ შესაბამისად 250, 200 და 150 ლარიანი ვაუჩერებით.

# ინკლუზიური ტურიზმის მესამე საერთაშორისო კონფერენცია



თბილისის მერიის ორგანიზებით სასტუმრო "რადისონ ბლუ ივერიაში" ინკლუზიური ტურიზმის მესამე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია "ინკლუზიური ტურიზმი ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობისათვის" თბილისის მერმა დავით ნარმანიამ გახსნა. ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა

გაგრძელება →



გიორგი ჩოგოვაძემ და გერმანიის ელჩმა ბეტინა ქადენბახმა.

თბილისის მერმა დედაქალაქში ინკლუზიური ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მერიის შესაბამისი სამსახურები ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ.

„საქართველოს და განსაკუთრებით თბილისს ინკლუზიური ტურიზმის განვითარების კუთხით დიდი პოტენციალი გააჩნია. დედაქალაქის მერია აქტიურად მუშაობს, რათა თბილისი ხელმისაწვდომი გახდეს ყველა კატეგორიის შშმ პირისთვის! აღსანიშნავია, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა 2016-2018 წლების ქალაქ თბილისის ადაპტირების 3 წლიან სამოქმედო გეგმაზე, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია 315 მუნიციპალური შენობა-ნაგებობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტის ადაპტირება, მათ შორისაა - ადმინისტრაციული შენობები, რეკრეაციული ზონები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, გზის სავალი ნაწილი, საბავშვო ბაღები, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. აღნიშნული სამუშაოების შესრულება უნივერსალური დაპროექტების პრინციპების გათვალისწინებით განხორციელდება", - განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

ინკლუზიური ტურიზმის მესამე საერთაშორისო კონფერენციის მიზანი სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების, წარმატებული მაგალითების, მეთოდოლოგიების, სტრატეგიებისა და მიმდინარე წლის სიახლეების გაცნობა და გაზიარებაა. დავით ნარმანიას განცხადებით, კონფერენცია ხელს შეუწყობს დედაქალაქის, როგორც შშმ ვიზიტორებისათვის და ინკლუზიური ტურიზმის განვითარებისათვის საინტერესო და მიმზიდველი ადგილის, წარმოჩენასა და პოპულარიზაციას.



კონფერენცია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და ევროპის ინკლუზიური ტურიზმის ქსელის (ENAT) ასოცირებული წევრის, არასამთავრობო ორგანიზაცია „პარსას„ მხარდაჭერით გაიმართა. ღონისძიებაში ადგილობრივი და საერთაშორისო საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

# ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მხარდამჭერი კამპანია



თბილისის მერიის თანამშრომლები ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მხარდასაჭერ კამპანიას შეუერთდნენ. „ჩვენ ვაფერადებთ სამყაროს„ - ამ სახელწოდების პროექტის მიზანია ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დახმარება, საზოგადოების მხრიდან თანადგომისა და მზრუნველობის გაძლიერება.

კომპანია „კინგსი„-ს მიერ ორგანიზებულ ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მხარდასაჭერ აქციაში სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად კერძო კომპანიებიც არიან ჩართულნი.

„კინგსი„ მსგავსი სახეობის აქციებისა და ფინანსური მხარდაჭერის გარდა ლეიკემიით დაავადებული ბავშვების მხარდასაჭერად სხვადასხვა ღონისძიებებს ახორციელებს, მათ შორის, დაგეგმილია აღნიშნული დაავადების მქონე ბავშვთა დასახმარებლად, იაშვილის კლინიკაში სპეციალური, სახალისო, ინტეგრირებული გაკვეთლების ჩატარება და კინგსის საგანმანათლებლო კუთხის მოწყობა.

პროექტის ორგანიზება „კინგსმა„ გასულ წელს დაიწყო და კამპანიამ, უკვე, პერმანენტული ხასიათი მიიღო.

https://www.facebook.com/CityHallofTbilisi/

# მცხეთა ინკლუზიური ტურიზმისთვის სრულიად ადაპტირებული იქნება



*ნათია მაჭარაშვილი.*

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე აცხადებს, „საქართველო მალე მზად იქნება, რომ მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები“.

„ინკლუზიური ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სეგმენტია ტურისტული თვალსაზრისით, რაც შეეხება საქართველოს ჩვენ ვმუშაობთ იმაზე, რომ განვავითაროთ ეს მიმართულება.

მცხეთა სრულიად ადაპტირებული იქნება ინკლუზიური ტურიზმისთვის. ასევე რამდენიმე მუნიციპალიტეტთან ერთად შევქმნათ ინკლუზიური პაკეტი, რაც ხელს შეუწყობს მოვიზიდოთ საქართველოში ადამიანები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობებით არიან, თუმცა მათ სრული უფლება აქვთ გადაადგილების და იმ ტურისტული სერვისების მიღების, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობს.

მცხეთის ადაპტირების პროექტი, ჩვენი შეკვეთით, უკვე დასრულებულია. მომავალი წლიდან ჩვენ გავაკეთებთ ინფრასტრუქტურას, რომელიც დაასრულებს ამ პროექტს და საქართველო მზად იქნება კიდევ ერთი ქალაქის თვალსაზრისით, რომ მიიღოს შეზღუდული შესაძლებლობის პირები", - განაცხადა გიორგი ჩოგოვაძემ.

http://www.ipress.ge/new/17218-mckheta-sruliad-adaptirebuli-iqneba

# ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესახებ



*ქეთევან ჭიღლაძე*

2015 წლის 18–19 ნოემბერს საერთაშორისო ორგანიზაცია საარჩევნო სისტემების საერთა-შორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია და მონიტორინგის ანგარიში„, რომელსაც საერთაშორისო ექსპერტი ენნ ჰეისი უძღვებოდა.

ტრენინგი დაიგეგმა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს, კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის. ტრენინგში ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს თანამშრომლები.

ტრენინგის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ორგანიზაცია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენელმა ნერმინ ნიშიჩმა და საქართველოს სახალხო

გაგრძელება →

დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ. მათ ისაუბრეს კონვენციის პოპულარიზაციისა და მისი მონიტორინგის ეფექტიანი განხორციელების მნიშვნელობაზე და აღნიშნეს, რომ ტრენინგი ხელს შეუწყობს აღნიშნულ პროცესს. ხაზი გაუსვეს სახალხო დამცველისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ურთიერთთანამშრომლობის დადებით ასპექტს.

ღონისძიების ძირითადი შინაარსი დაეთმო კონვენციის მიმოხილვას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის მექანიზმის საქმიანობასთან დაკავშირებით, მონიტორინგის ანგარიშის მომზადების პროცესს და სახელმძღვანელო პრინციპებს. ტრენინგის მონაწილეებმა ექსპერტის ჩართულობით კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის გეგმის პროექტი შეიმუშავეს.

# სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს კეთილი თანადგომა



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით შშმ პირთათვის ამოქმედებული სოციალური საწარმო ფართოვდება. საწარმოში ხის მასალისგან ეკოლოგიურად სუფთა, ევროპული სტანდარტების შესაბამისი სათამაშოები მზადდება. ამ ეტაპზე საწარმო მხოლოდ რამდენიმე სავაჭრო ქსელს აწვდის ნაწარმს. იმის გამო, რომ მათ პროდუქციას ბაზარზე დიდი მოთხოვნა აქვს, იგეგმება საწარმოს გაფართოება. შესაძლოა ქართული სათამაშოები ევროპულ ბაზარზეც მოხვდეს.

https://www.facebook.com/sport.youth.georgia/photos/a.

# სამების ახალგაზრდულ ცენტრში შშმ პირთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა



*ლილუ მიროტაძე*

28-29 ნოემბერს ქუთაისის შეზღუდული შესაძებლობების მქონე პირთა ახალგაზრდული საქველმოქმედო ასოციაციის „მოწყალებ"-ის წევრთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა გაიმართა.

ღონისძიება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო.

"გამოფენილი ნამუშევრები თვალთნათელი მაგალითი იყო საზოგადოებისათვის, რომ შეზღუდული შესაძებლობა კი არ არსებობს, არამედ არსებობს შეზღუდული გარემო, რომელშიც გვიწევს ცხოვრება. თუ სათანადო ხელშეწყობა გვექნება, ჩვენც შევძლებთ საკუთარი თავის რეალიზებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი გამოფენა-გაყიდვა", - განაცხადეს შშმ პირთა ახალგაზრდული საქველმოქმედო ასოციაცია „მოწყალებ"-ის წევრებმა.

# ტრენინგი თერჯოლაში



გასულ კვირას მაკლეინის ასოციაციამ ბავშვებისათვის (მაკ) ჩაატარა ტრენინგი თერჯოლის რაიონის სხვადასხვა სკოლის 17 მასწავლებელთან. სამ დღიანი სატრენინგო კურსის განმავლობაში, მაკ-ის ფსიქოლოგმა განიხილა ქცევის მართვის სხვადასხვა სტრატეგიები და ტექნიკები.

აღნიშნული ტრენინგი უფასოა საქართველოს ყველა სკოლისთვის. თუ ფიქრობთ, რომ თქვენი სკოლა შესაძლოა დაინტერესდეს ამ ტრენინგით,დაგვიკავშირდით.

**ტრენინგი ქუთაისში**

მაკ-ი ულოცავს ტრენინგის წარმატებულ გავლას ქუთაისის №32-ე სკოლის მასწავლებლებს. სამ დღიანი სატრენინგო კურსით (11-13 ნოემბერი), 25 მასწავლებელი გაეცნო პრობლემურ ქცევებს და მათი მართვის სტრატეგიებს.

აღნიშნული ტრენინგი უფასოა, დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით.

# მულტიდისციპლინური გუნდის ტრენინგი



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური განათლების დეპარტამენტთან თანამშრომლობის საფუძველზე, მაკლეინის ასოციაციამ ჩაატარა ტრენინგი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს თითოეული რეგიონის მულტიდისციპლინური გუნდის წევრთა პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავების ხელშეწყობას. აღნიშნული კურსი მოიცავდა ბავშვის კოგნიტური და მოტორული უნარების შესაფასებელი ტესტების ჩატარების სწავლებას, ასევე, ტესტირების შედეგად მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისა და საბოლოო ანგარიშის წერის უნარ-ჩვევების გაღრმავებას.

# შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

2015 წლის 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა თემაზე: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა„.

2015 წლის განმავლობაში სახალხო დამცველს არაერთმა პირმა მიმართა, რომლებსაც დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე სხვადასხვა დაბრკოლებები შეექმნათ. მათი პრობლემები ძირითადად უკავშირდება სათანადო საცხოვრებლის, განათლების, დასაქმების, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და სხვა საკითხებს.

საქართველოში გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ძალაში შესვლის მიუხედავად, ბევრი ადამიანისთვის ჯერ კიდევ გამოწვევაა ფიზიკური გარემოს, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა თუ ინფორმაციის მისაწვდომობა, სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზება, ხარისხიანი და უწყვეტი ინკლუზიური განათლება, ჯანდაცვა, დასაქმება. აღნიშნული პრობლემები განსაკუთრებით მწვავეა სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. სახელმწიფოს მხრიდან სათანადო მხარდაჭერის გარეშე, ისინი მოუმზადებელი არიან დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

გაგრძელება →



2015 წლის აგვისტოში საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას და მოუწოდა, ყველა პასუხისმგებელი სამინისტროს ჩართულობით მოახდინოს სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების საკანონმდებლო რეგულირება, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ„ გაეროს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად. კერძოდ, საქართველოს მთავრობის მიერ, პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით, შეიქმნას სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ„ გაეროს კონვენციით ამ პირთათვის გარანტირებული უფლებების პრაქტიკულ იმპლემენტაციას.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

# "მოგზაურობა პიროვნებამდე" – ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმის გამოწვევები

*სოფო აფციაური*



„საქართველოში ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმა დიდი მიღწევაა, თუმცა მის მიღმა შეიძლება სხვა რეალობა იმალებოდეს. ამიტომაა საჭირო, რეფორმის შინაარსსა და არსებულ მდგომარეობას შორის სივრცე შემცირდეს", - იოთამ თოლუბი იურისტია, ისრაელში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია Bizchut-ის წარმომადგენელი. თუმცა, თოლუბი კონკრეტულად ქმედუნარიანობის საკითხებზე მუშაობს. არასამთავრობო ორგანიზაცია "პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის"(PHR) ორგანიზებითა და ღია საზოგადოების ფონდების მხარდაჭერით ჩატარებულ შეხვედრაზე, თოლუბიმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ადამიანებს ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით, ისრაელის და ზოგადად, საერთაშორისო გამოცდილება გააცნო.

„დღევანდელ ლექციას გამიზნულად არ დავიწყებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე საუბრით. მოგიყვებით ერთ ისტორიას - 100 წლის წინ ინგლისის პარლამენტი განიხილავდა ქალებისთვის არჩევნებში ხმის მიცემის უფლების საკითხს - ქალების ფსიქიკური მდგომარეობა არაა ისეთივე სტაბილური, როგორიც კაცების, ამას ისიც ადასტურებს, რომ ქალები არ არიან ვაჭრები, კორპორაციის ხელმძღვანელები; მე მჯერა, რომ ნორმალურ ქალს და კაცს აქვს ინსტინქტი, რომ ქალს კაცი მართავდეს - ამ არგუმენტს პარლამენტმა მხარი დაუჭირა. 50 წლის წინ ამერიკაში ზუსტად იგივე საკითხი განიხილებოდა, ოღონდ ქალები ჩაანაცვლეს აფროამერიკელებმა. მას შემდეგ გავიდა 50 წელი და ზუსტად იმავე არგუმენტების მოსმენა შეგვიძლია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე.

გაგრძელება →




მაგრამ ამ ადამიანების ცხოვრებას სხვა სირთულეებიც ახლავს, ვიდრე მხოლოდ სქესის ან კანის ფერის მიხედვით გამორჩევა. ამიტომ, დღეს შეიძლება წარმოუდგენლად მიგვაჩნდეს შშმ ადამიანებისთვის ქმედუნარიანობის მინიჭება, მაგრამ ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ 50 წლის შემდეგ ეს სასაცილო იყოს", - იოთამ თოლუბმა ამის შემდეგ ქმედუნარიანობასთან დაკავშირებული სამ მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა. მისი თქმით, ესაა თავისუფლება, თანასწორობა და ღირსება. სამივე ერთად კი სამართლებრივი უფლების ქონასთან ერთად, მის გამოყენებას გულისხმობს.

იურისტმა გაიხსენა Bizchut-ის ერთ-ერთი პირველი საქმე, რომელიც მერვე კლასელ შაჰა გოცეს ეხებოდა. შაჰა ეტლით მოსარგებლეა, მისი სკოლა ადაპტირებული იყო, თუმცა ბიჭი ვერ სარგებლობდა მეორე სართულზე განთავსებული საპირფარეშოთი.

მართალია ისრაელში კანონი სკოლებს ადაპტირებას არ ავალდებულებდა, თუმცა უზენაესი სასამართლოს გადაწვეტილებით, საპირფარეშოზე ხელმისაწვდომობის არქონა, შაჰას სოციუმში ჩართულობას ეწინააღმდეგებოდა: „ეს არის სოციალური კონსენსუსის კარგი მაგალითი", - ამბობს იოთამ თოლუბი.

მან ასევე ისაუბრა თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სურვილების გათვალისწინების მნიშვნელობაზე და მისი ბენეფიციარების კონკრეტული ისტორიები მოყვა.

მაგალითად, ხოვიშს, რომელიც ისრაელში ცხოვრობს, ინტელექტუალური შეზღუდვა აქვს, მათემატიკური გამოთვლები უჭირს. მაგრამ ოჯახის შექმნა უნდა, კურიერად მუშაობს. ხოვიშმა თქვა, რომ არ სჭირდებოდა მეურვე. მამამ მის აზრს პატივი სცა, გაუხსნა საბანკო ანგარიში და ხოვიში თავის ქონებას დამოუკიდებლად განაგებს, უბრალოდ მამამისი ხანდახან ამოწმებს, რამე პრობლემა ხომ არ აქვს.

დები არის უსინათლო, მცირე ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე. ჰყავს პარტნიორი და მასთან ერთად ცხოვრებას აპირებს. მუშაობს და ისეთ ბინაში ცხოვრობს, რომლის მოვლაშიც მხარდამჭერი პერსონალი ეხმარება.

იუდი კი, რომელიც შუახნის ქალია, მცირე საოჯახო ტიპის სახლში ცხოვრობს. არასამთავრობო ორგანიზაციამ რამდენიმე თვის წინ სასამართლოში სარჩელი შეიტანა და იუდისთვის ქმედუუნარობის გაუქმება მოითხოვა. იურისტი, იოთამ თოლუბი ამბობს, რომ ამაზე მთავრობისგან მხარდაჭერა აქვს და ახლო მომავალში ეს საქმე სავარაუდოდ, დადებითად გადაწყდება.

„ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ იუდისთვის ქმედუუნარობის სტატუსის მოხსნის ერთ-ერთი მიზეზი სოციალური მუშაკის დასკვნა იყო. ის ამბობდა, რომ დიახ, იუდის ხანდახან მწვავე ფსიქიკური მდგომარეობაც აქვს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მას საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად განკარგვა არ შეუძლია".

თოლუბი იხსენებს ისრაელში ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირების მიმართ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის დროს გამოუძიებელ საქმეებს. მისი განმარტებით, პროკურორები ამბობდნენ, რომ ამ ადამიანების დაკითხვა შეუძლებელი იყო, რადგან მათგან რეალური ფაქტების მოსმენას ვერ მოახერხებდნენ: „სპეციალისტებმა ვთქვით, იქნებ ჩვენ არ შეგვეძლო ამ ადამიანების გაგება? ამიტომ, პროკურატურას შევთავაზეთ დახმარება, რომ დაზარალებულ შშმ ადამიანებს ჩვენ, სპეციალისტები დავკითხავდით. ასეც მოხდა, ახლა ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე ადამიენების მიმართ ძალადობა დაუსჯელი არ რჩება, რადგან ისრაელის პროკურატურამ დარგის სპეციალისტები აიყვანა", - ამბობს იურისტი. მან ასევე ისაუბრა სოციალური მიდგომის მნიშვნელობაზე. იმაზე, რომ თუ ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ადამიანს ადეკვატური მომსახურებები ექნება, როგორიცაა მაგალითად, ღირსეული საცხოვრისი, მხარდამჭერის თანადგომა, შესაძლოა მას უფრო მეტად შეუმცირდეს ჰოსპიტალიზაციის პერიოდი.

მაგალითად, იოთამ თოლუბმი ისაუბრა შვედეთის მაგალითზე. როცა ერთ-ერთი ფსიქიატრიულის დახურვა გადაწყდა, შესაძლოა 300 ადამიანიდან ბევრი მათგანი სახლის გარეშე დარჩენილიყო, ან ციხეში მომხვდარიყო. ამიტომ, მთავრობამ ასეთი გამოსავალი მოძებნა - 20 ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ადამიანს მხარდამჭერი დაუნიშნა. იქამდე ეს ადამიანები ჰოსპიტალში 60 დღეს ატარებდნენ, მხარდაჭერის დანიშვნიდან 2 წლის შემდეგ კი ეს დღეები 4 დღემდე შემცირდა.

იოთამ თოლუბიმ მისი ლექციის დასასრულს მოკლე შეჯამება გააკეთა და ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით ოთხი ძირითადი საკითხი

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ →



გამოყო. მისი განმარტებით, მართალია, საქართველოს შეზღუდული რესურსები აქვს, თუმცა პირველი და გადამწყვეტი სწორედ მხარდამჭერის არსებობაა:

„სხვა შემთხვევაში რეფორმა სრულიად არაეფექტური იქნება. ინსტიტუციაში მყოფ ადამიანს რომ უთხრა, ქმედუუნარობის სტატუსს და მეურვეს გიხსნი და ახლა რაც გინდა ის გააკეთეო, აზრი არ აქვს“.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იურისტის აზრით, სამართლიანი სამართლებრივი პროცედურაა. ანუ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი თავად უნდა იყოს ჩართული პროცესებში, რომელიც მას ეხება.

მესამე საკითხი, თოლუბის განმარტებით, პასუხისმგებლობების აღება და გადანაწილებაა: „პროცესს შეიძლება შეცდომები და გარკვეული რისკები ახლდეს, ამიტომ კანონში უნდა იყოს გაწერილი, ვის რა მოვალეობა და ვალდებულება აქვს. ისრაელში მაგალითად, ერთი თვის წინ სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მხარდამჭერი მხარდაჭერის მიმღები პირის ქმედებებზე პასუხს არ აგებს“.

და ბოლოს, იურისტის აზრით, მეოთხე მნიშვნელოვანი საკითხია, პიროვნების დაცვის რა მექანიზმია ჩადებული კანონში, როცა რამე ზიანი დგება და როგორ უნდა მოხდეს ამის გამოსწორება. იოთამ თოლუბიმ ამის მაგალითად ისრაელში მცხოვრები ქალის, ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე დანას შემთხვევა გაიხსენა. დანას მშობლები დაეღუპა, ფულს კი აზარტულ თამაშებში ხარჯავდა. მისმა ძმებმა სასამართლოს მიმართეს და დანას მეურვეობა ითხოვეს, თუმცა Bizchut-ის იურისტებმა სასამართლოს დანას მხარდამჭერად ბუღალტრის დანიშვნა შესთავაზეს, რომელიც მას უბრალოდ კონსულტაციას გაუწევდა.

„თუმცა სარჩელში ჩავწერეთ, რომ გარკვეული თანხის ზემოთ დახარჯვის დროს დანას მხარდამჭერის ხელმოწერა დასჭირდებოდა. ეს იყო კომპრომისი, თუმცა კარგი გამოსავალი იმისა, რომ დანას მეურვისგან დამოუკიდებლად ეცხოვრა“.

დამოუკიდებელი ცხოვრების მნიშვნელობაზე ისაუბრა არასამთავრობო ორგანიზაცია „ხელი ხელს“ ხელმძღვანელმა, მაია შიშნიაშვილმაც. მან ისრაელში მომუშავე კოლეგას საქართველოში, გურჯაანისა და თბილისის მცირე საოჯახო ტიპის სახლების მაცხოვრებლებზეც მოუყვა, რომლებიც ამ ორგანიზაციისა და „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ მხარდაჭერით ოთხ სახლში ცხოვრობენ.

# ᲣᲠᲔᲙᲘ-ᲔᲚᲘᲢᲐ

*გიორგი ჯანელიძე*

2013 წლიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდებარე საკურორტო დაბა ურეკს თანამედროვე შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლი ამშვენებს. აღნიშნული ნაგებობა მობინადრეებისთვის ყოველმხრივი კომფორტის შექმნის შესაძლებლობას იძლევა. მისი უპირველესი ხიბლი ისაა, რომ მდებარეობს კურორტის პირველ ზოლში. „ურეკი-ელიტა„ თავის სახელს ყოველმხრივ ამართლებს, რამეთუ ის საკურორტო ზოლში არსებულ სასტუმრო დანიშნულების შენობებსა თუ საცხოვრებელ სახლებს პირველი შეხედვისთანავე თავისი არქიტექტურული იერსახით მკაფიო კონკურენციას უწევს. ყოველივე ზემოაღნიშნულის დამადასტურებლად ისიც საკმარისია, რომ „ურეკი-ელიტას„ შენობის დიდი ნაწილი გაყიდულია.

დიდი მოთხოვნილებიდან გამომდინარე, საცხოვრებელი სახლი „ურეკი-ელიტა„-ს მესაკუთრემ გადაწყვიტა, რომ კორპუსის 0 სართულზე არსებული სათვსო რომლის ფართობი 428 კვადრატული მეტრია, სამკურნალო-სარეაბილიტაციო დანიშნულებით გაასხვისოს.

როგორც მკითხველს მოეხსენება, კურორტ ურეკის ზღვის სანაპირო ზოლი უნიკალური

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ →



მაგნეტიტური ქვიშის სამკურნალო შესაძლებლობები საქვეყნოდაა ცნობილი. ურეკის მაგნიტური ქვიშის სამკურნალო თვისებები ათეული წლების წინ იქნა შესწავლილი და როგორც ცნობილია, ის ცერებრაულრი დამბლით დავადებული პაციენტების გარდა, ჯანმრთელობის სხვა პრობლემების მქონე ადამიანებზეც დადებითად მოქმედებს. მაგნიტური ქვიშით სამკურნალოდ კურორტ ურეკში არამხოლოდ ყოფილი სსრ კავშირის სივრციდან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდანაც ჩადიან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები. მაგრამ კურორტის სპეციფიური კლიმატური პირობების გამო, წვიმიან დღეებში მკურნალობის პროცესი ფერხდება, ხოლო კვლევების თანახმად, დადგენილია, რომ სრულფასოვანი მკურნალობის კურსი 21 დღეს შეადგენს.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით საცხოვრებელი სახლი „ურეკი-ელიტა„-ს მფლობელი სამკურნალო-სარეაბილიტაციო დაწესებულების შექმნის პოტენციურ მსურველს თავაზობს შესაძლებლობას, რომ მაგნიტური ქვიშისა და ზღვის წყალის სამკურნალო თვისებების გამოყენება, უამინდობის პერიოდში, გადატანილი იქნას დახურულ სივრცეში, რაც გამორიცხავს მკურნლობის პროცესის შეფერხებას. ამასთან აღსანიშნავია ისიც რომ შენობაში გათვალისწინებული იქნა თანამედროვე მოთხოვნები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის. მოწყობილია პანდუსიანი კიბეები.

რაც შეეხება სარეალიზაციო სართულის სიმაღლეს, ის 2,95 მეტრია, ხოლო ფანჯების მიწისზედა ნაწილის სიმაღლე 1,20 მეტრია, მიწისქვეშ-1,75 მეტრი. გასაყიდი სათავსის ფასი განისაზღვრება რეალურ მყიდველთან მოლაპარაკების გზით.

# გამარჯობა, ჩემო უცნობო მეგობარო

*თეა ჭითაშვილი*

გამარჯობა, ჩემო უცნობო მეგობარო, შენ ალბათ ყველაზე უბედურ ადამიანად მიიჩნევ თავს დედამიწის ზურგზე, ეს განცდა გინდა არ გინდა, ვაღიარებთ თუ არა, სადღაც გულის კუნჭულში თითოეულ ჩვენგანს გვიჩნდება. მე ვარ დედა, რომელმაც ცხრამეტი წლის მანძილზე ორჯერ გადავიტანე ასეთი გულისტკივილი, მაგრამ უფლის ნებით ისევ ფეხზე ვარ, ბავშვებთან ერთად ჩემს თავსაც ვუვლი. მე და ნინიკო ერთად ვიპრანჭებით, კარგი მეგობრები ვართ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდესაც დები ვგონივართ და ბევრს ვხალისობთ. ნინიკო ჩემი ცხრამეტი წლის გოგონაა, მას ბავშვთა ცერებრალური დამბლა აქვს.

18 წლის ვიყავი, როდესაც ხუთი დღის ბავშვზე მითხრეს: „ჯერ პატარა ხარ, ყველაფერი წინ გაქვს, ბავშვებს კიდევ გააჩენ, ეს ბავშვი კი გაგაწვალებს და მოდი იქნებ...„ – წინადადების დამთავრება არ ვაცადე, მამას შევხედე და ვთხოვე ჩემი შვილი გადაერჩინა! მადლობა ჩემს მამიკოს, მადლობა უფალს ერთი თვის და ორი დღის ნინიკო გამოვიყვანეთ ჰემატოლოგიური განყოფილებიდან და მკურნალობა ნევროპათოლოგთან დავიწყეთ.

გაგრძელება →



გულწრფელად გეტყვი, ბედნიერი ვიყავი! მიუხედავად იმისა, რომ ჩემი შვილი ისე არ ვითარდებოდა, როგორც სხვა ბავშვები. ნინიკო განსხვავებული იყო, მაგრამ მე ის სწორედ ასეთი მიყვარდა! ამ ქვეყანაზე ერთადერთი ნინო არსებობდა, ჩემი საზრუნავი ის იყო. გონება დატვირთული მქონდა – წამლების დასახელებით, განრიგით, მენიუს შედგენით, მისი ვიზუალით (მას ყველაფერი არ უხდებოდა, ამიტომ მიწევდა ისეთი ტანისამოსის შერჩევა, რომელიც განსაკუთრებულ პეწს შესძენდა მას.) მთელი ოჯახი ნინის პირველი სიტყვების წარმოთქმისას ვხარობდით, მისი პირველი ნაბიჯები კი, მეგონა ჩვენთან ერთად სამყაროსაც უხაროდა. მისი ქცევები, მანერები, სითამამე –არაფერში ვზღუდავდი, ყველგან პირველი უნდა ყოფილიყო ჩემი „ქანქარა„ ბავშვი. არავის უთქვამს ჩემთვის: „ვაიმე, შენ საწყალო, ეს რა დღეში ხარ... „– ყველა ხედავს, რომ მე ნინიკოს დედა, ბედნიერი ვარ!

ეს ჩემი ცხოვრების ისტორიის ერთი ნაწილია, ახლა კი ისტორიის მეორე ნაწილს მოგიყვებით... ნინოს დაბადებიდან რვა წლის შემდეგ, ჩემს სხეულში ცვლილება ვიგრძენი. შევშინდი. მე ხომ მეორე შვილის გაჩენას არ ვაპირებდი, მაგრამ დედობრივი ინსტიქტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ჩემი გახარება, – ანდრია მოევლინა ქვეყანას. იმ ბედნიერი ექვსი წლის აღწერა სიტყვებით შეუძლებელია. მაგრამ. ვირუსი. თებერვლის სუსხიან ღამეში, მაღალ ტემპერატურას ვებრძოდით, დილით გაიღვიძა ყვირილით: დედა, ჩემი ხმა არ მესმის!

ოტოლარინგოლოგმა აუდიოგრამაზე გაგვიშვა. ნევრიტი! გვეშველება? აუდიოლოგი თავს იქნევს, – ვიგრძენი გონება ამერია, სხვანაირი გავხდი, ანდრიამ ხელიხელზე მომიჭირა, შევხედე, შეშინებული თვალებით მიყურებდა, არ ვიცი როგორ შევძელი ძალების მოკრება, ჩავიხუტე, გავუცინე და ვუთხარი: „ნუ გეშინია დე, ვიმკურნალებთ და ყვალაფერი კარგად იქნება!„ – იმედიანი თვალებით შემომცქეროდა.

დიდხანს ვიტყუებდი თავს, დამყავდა ერთი ექიმიდან მეორესთან, მინდოდა რომელიმესგან „კარგი„ ტყუილი მომესმინა, მაგრამ არცერთი არ მატყუებდა... რამოდენიმე თვეში აპარატი მოვირგეთ, ჩვენს ცხოვრებაში ისევ განათდა, მართალია მე დღეს დიდი შრომა მიწევს იმისათვის, რომ ანდრიამ სამყარო სრულად აღიქვას, არაფერი გამორჩეს, მაგრამ არა უშავს, მე ესეც გადავიტანე და ისევ ფეხზე ვდგავარ! კოხლეარულ იმპლანტაციაზეც ვფიქრობთ, ჩვენ ამასაც აუცილებლად გავუმკლავდებით!

ბედნიერი ვარ თუნდაც იმით, რომ სამყაროს ნინოს და ანდრიას თვალით აღვიქვამ! მიყვარს სამყაროს ის ნაწილი, რომელსაც ,,განსხვავებულს" უწოდებენ. არ არის ადვილი, იცხოვრო ისე, რომ შენზე დამოკიდებული ადამიანები ბედნიერი გყავდეს, მაგრამ ეს არის ჩემი მისია–ვიცხოვრო შვილებთან ერთად და ყოველი დღე გავულამაზო. მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია ვატაროთ ისინი ბედნიერებით მოფენილ, ხასხასა მწვანე გზებზე!

შენიშვნა: ბლოგში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს ,,მშობელთა საინფორმაციო ცენტრის" პოზიციას.

http://www.picgeorgia.com/#!

# საინვალიდო სპორტი

**პარაოლიმპიურმა თამაშებმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი თანამედროვე მსოფლიოში. იგი ჩვენი ცხოვრების განუყოფიელი ნაწილი გახდა და დიდ გავლენას ახდენს შშმ პირების ყოფიერებაში.**

**დღეიდან შემოგვაქვს ახალი რუბრიკა - პარაოლიმპიური მაცნე, სადაც გაშუქდება ყველაფერი ის, რაც პარაოლიმპიურ მოძრაობას ეხება. გაგაცნობთ იმ ადამიანებს, ვისაც დიდი წვლილი მიუძღვით პარასპორტის და პარაოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში. ფართო საზოგადოება გაიცნობს იმ ქართველ პარაოლიმპიელებს, მათ მწვრთვნელებს და ქველმოქმედებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ქართული პარაოლიმპიური მოძრაობის განვითარების საქმეში. ერთი სიტყვით, გაგაცნობთ ყოველივე იმას, რითაც ვითარდება და ხელს უშლის საქართველოში პარაოლიმპიური მოძრაობის განვითარებას.**

# პარაოლიმპიური მაცნე

**„სული მოძრაობაშია“**

## როგორ დაიწყო პარაოლიმპიური თამაშები

*თეიმურაზ მიქიაშვილი*

ინვალიდის ეტლებით სპორტის განვითარება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ინგლისში. მის დამაარსებლად ითვლება ლუდვიგ გუტმანი, რომელმაც ინგლისის მთავრობის თხოვნით, ლონდონის ახლოს მდებარე ქალაქ სტოკ-მანდევილში შექმნა ხერხემლის ტვინის დაზიანების მკურნალობის ნაციონალური ცენტრი და დაინიშნა ამავე ცენტრის დირექტორად. მან პირველმა დაიწყო ამპუტანტებთან სპორტული ვარჯიშების ჩატარება, რამაც დიდი შედეგი გამოიღო ინვალიდ ამპუტანტთა ფიზიკური რეაბილიტაციის პროცესში. ამავე ჰოსპიტალში 1944 წელს პირველად ჩატარდა შეჯიბრებები ინვალიდის ეტლებით ამპუტანტირებულთა შორის. აღნიშნულმა თამაშებმა საზოგადოების დიდი ინტერესი და პრესის გამოხმაურება გამოიწვია. შემდგომში ამ თამაშებს, რომელიც საერთაშისო თამაშებად გადაიქცა, ეწოდა სტოქ-მანდევილის თამშები. „მთავარი ის კი არ არის, რაც დაიკარგა, არამედ მნიშვნელოვანია ის, რაც დარჩა“ _ ამბობდა ლუდვიგ გუტმანი. კლინიკური სპორტიდან წარმოშობილი თამაშების პროგრამას დაემატა მშვილდოსნობა. სპორტის ეს სახეობა მიაჩნდა ლუდვიგ გუტმანს იდეალურ საშუალებად იმ ჯგუფის კუნთების სავარჯიშოდ, რომლებიც განლაგებულია დაზიანებული ზურგის ტვინის ზედა დონეზე. უფრო მეტიც, ეს ერთ-ერთი ის სპორტის სახეობაა, რომელიც სპორტსმენ-ადაპტანტს აძლევს საშუალებას იასპარეზოს ჯანმრთელი სპორტსმენების თანასწორად. შემდგომში უფრო გაიზარდა დანერგილი სპორტის სახეობების რაოდენობა და მიემატა მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ცურვა, მძლეოსნობა და ა.შ.

1948 წელს ჩატარდა პირველი სტოქ-მანდევილის თამაშები პარალიზებულთათვის, სადაც მონაწილეობდა სულ 16 ეტლით მოსარგებლე სპორტსმენი. იმავე დღეს ლონდონში საზეიმოდ გაიხსნა ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. ამ დამთხვევის წყალობით ლ. გუტმანს დაებადა საერთაშორისი ოლიმპიური თამაშების პარალელურად პარაპლეგიკთა საერთაშორისო თამაშების ჩატარების იდეა. საინვალიდო ეტლებით თამაშების ჩატარების ორგანიზაციას საფუძვლად დაედო ფუნქციონალური შესაძლებლობის კლასიფიკაცია და თამაშებში კულტივირებული სპორტის სახეების წესების მცირედი ცვლილებები.

1959 წელს ლ. გუტმანმა თავის წიგნში „სტოქ-მანდევილის თამაშების წესები პარალიზებულთათვის“ გამოაქვეყნა დამუშავებული წესები ყველა სპორტის სახეობებისათვის _ „სტოქ-მანდევილის თამაშების მიზანია _ წერდა გუტმანი _ მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარალიზებული ადამიანის გაერთიანება საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში. `დაე, სპორტმა შთაბეროს იმედი და გაამხნევოს ათასობით პარალიზებული“ _ წერდა იგი. შესანიშნავი ადამიანის ლ. გუტმანის ნოვატორულმა წამოწყებამ, მისი საქმიანი და ადამიანური თვისებების წყალობით, შესაძლებელი გახადა ისეთი სპორტული მოძრაობის შექმნა, რომელმაც საოცრად გარდაქმნა არა მარტო ინვალიდთა, არამედ მათი ნათესავების, მეგობრების და ახლობლების ცხოვრება.

ინვალიდთა სახსრებით, პენსიონერებისა და სხვათა შემოწირულობების საშუალებით სტოქ-მანდევილში აშენდა სტადიონი. ქალაქის ხელმძღვანელობამ და ამ ქალაქში მაცხოვრებლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სტადიონზე მოსვლა ყოფილიყო სასიამოვნო და დასამახსოვრებელი. ინვალიდი სპორტსმენებისათვის კი შეიქმნა ყველა პირობა ვარჯიშისა და შეჯიბრებებისათვის. 1957 წელს სტოკ-მანდევილში პარაპლეგიკთა საერთაშორისო თამაშებში მონაწილეობისათვის ჩამოვიდა 360 სპორტსმენი მსოფლიოს 24 ქვეყნიდან. ყოველწლიურმა სტოკ-



გაგრძელება →



მანდევილის თამაშებმა მოიპოვა საერთაშორისო სპორტული ფედერაციის სტატუსი და პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში. მის უდიდეს პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ ყოველწლიურად სტოკ-მანდევილში ტარდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა როგორც ნაციონალური, ასევე საერთაშორისო თამაშები.

მსოფლიოში პარაოლიმპიური თამაშების დაწყება 1960 წლიდან იღებს სათავეს. რომის ზაფხულის XVII ოლიმპიური თამაშების სპორტულ არენაზე გამოვიდნენ ინვალიდობის მქონე სპორტსმენები, რათა ოლიმპიური წესების მიხედვით შერკინებოდნენ ერთმანეთს. ოლიმპიურ სტადიონზე თამაშებს მიესალმა და წარმატება უსურვა რომის პაპმა იოანე XXII-მ. ამ პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა მსოფლიოს 24 ქვეყნის 360 შეზღუსული შესაძლებლობის მქონე სპორტსმენი.

მეორე პარაოლიმპიური თამაშები ჩატარდა ტოკიოში 1964 წლის ნოემბერში, სადაც მონაწილეობდა მსოფლიოს 22 ქვეყნის 390 სპორტსმენი. ტოკიოს პარაოლიმპიურმა თამაშებმა მსოფლიოს საზოგადოების უდიდესი ინტერესი გამოიწვია. იაპონელებმა, რომლებმაც გადაიტანეს ატომური დაბომბვის საშინელება ხიროსიმასა და ნაგასაკში, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეს სპორტსმენ-ინვალიდების მიმართ. ამ თამაშებმა ნათელჰყო პარალიზებულ ადამიანთა უდიდესი შესაძლებლობები. გადალახეს რა დიდი მანძილი იაპონიამდე, მონაწილეობა მიიღეს როგორც სპორტულ შეჯიბრებებში, ისე მრავალრიცხოვან ღონისძიებებში და დაანახეს მსოფლიოს მთელ საზოგადოებას, რომ მათაც შეუძლიათ სპორტული რეკორდების დამყარება, დიდი, თვალსაჩინო საქმეების კეთება და არაფრით ჩამორჩებიან ჯანმრთელ ადამიანებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში თუ სპორტულ ასპარეზზე.

თამაშების შემდეგ იაპონიაში გაიხსნა მრავალი სპეციალიზირებული საწარმოები, სადაც უამრავი ინვალიდობის მქონე ადამიანი დასაქმდა.

ასე დიაიწყო თავისი ტრიუმფალური სვლა საერთაშორისო პარაოლიმპიურმა თამაშებმა, რომელშიც ათასობით შშმ სპორტსმენი იღებს მონაწილეობას სპორტის 28 სახეობაში.

2008 წლის პეკინის ზაფხულის პარაოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა 148 ქვეყნის 5600 სპორტსმენი. ამ თამაშებში პირველად მონაწილეობდა საქართველოს წარმომადგენელი იაგო გორგოძე (ძალოსნობა, პაუერლიფტინგი), რომელმაც თავის კლასში მე–8 ადგილი დაიკავა.

# ლუდვიგ გუტმანი – პარაოლიმპიური თამაშების დამაარსებელი



ლუდვიგ გუტმანი ითვლებოდა ერთ- ერთ მოწინავე ნევროპათოლოგად მეორე მსოფლიო ომის დროს. 1939 წლამდე მუშაობდა ებრაელთა ჰოსპიტალში ქ. ბრესლაუში. უკიდურესად დაძაბული მდგომარეობის გამო, როგორც ებრაელი, 1944 წელს იძულებული გახდა გაქცეულიყო დიდ ბრიტანეთში. ინგლისის მთავრობის თხოვნით, ლონდონთან ახლოს მდებარე ქალაქ სტოკ-მანდევილში ადგილობრივი ჰოსპიტალის ბაზაზე მან შექმნა ხერხემლის ტვინის დაზიანებულთა მკურნალობის ნაციონალური ცენტრი და დაინიშნა ამავე ცენტრის დირექტორად. ამ თანამდებობას იკავებდა 1966 წლამდე. გუტმანი თვლიდა სპორტს, როგორც მკურნალობის ერთ-ერთ საშუალებად და იყენებდა მას ინვალიდობის მქონე ადამიანების ფიზიკური ძალის და საკუთარი ღირსების გრძნობის ასამაღლებლად. გუტმანის მიერ 1952 წელს ქ. სტოკ-მანდევილში ორგანიზებულ თამაშებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 130-მა სპორტსმენმა. შემდგომში სტოკ-მანდევილურმა თამაშებმა

გაგრძელება →

არნახულ მასშტაბს მიაღწია და გარდაიქმნა პარაოლიმპიურ თამაშებად. 1956 წელს, ოლიმპიური მოძრაობის იდეალიების განხორციელებაში გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის გუტმანი დაჯილდოვდა ფირნლის თასით. 1950 წელს მანვე დაარსა ინგლისის ინვალიდთა სპორტული ასოციაცია. 1960 წლიდან დაწყებული დღემდე გუტმანის მიერ დაარსებული პარაოლიმპიური თამაშები ტარდება იმ ქალაქში, სადაც მიმდინარეობს ოლიმპიური თამაშები. გამონაკლისი იყო 1980 წელს ჩატარებული მოსკოვის XXII ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. მოსკოვის მიერ უარის გამო პარაოლიმპიური თამაშების ჩატარება თავის თავზე აიღო ნიდერლანდების ქალაქმა ანხემმა). მანვე დაამუშავა საერთოდ აღიარებული სპორტულ-სამედიცინო კლასიფიკაცია, რომელიც პარაოლიმპიური პროგრამით ჩატარებულ შეჯიბრებებში სამართლიანი და თანასწორი შეჯიბრებითობის გარემოს უზრუნველყოფს. მისი დამსახურება განსაკუთრებულად შეაფასა ინგლისის ხელისუფლებამ და დაჯილდოებული იქნა ბრიტანეთის იმპერიის მე-2 ხარისხის ორდენით და კომანდორის წოდებით, რომელსაც დიდ პატივს მიაგებენ მთელ მსოფლიოში. გუტმანის პატივსაცემად და მისი სახელის უკვდავსაყოფად დაარსებული იქნა გუტმანის სახელობის პრმიები: ავსტრალიაში ინვალიდების ეტლით მოსარგებლეთა სპორტის ფედერაციამ (ინგლის.Australian Wheelchair Sports Federation) და გერმანიის პარაპლეგიის სამედიცინო საზოგადოებამ (გერმან. Deutschesprachige Medizinische Gesellschaft für Paraplegie), რომელიც ეძლევათ ქვედა კიდურების პარაპლეგიით დაავადების შესახებ გერმანულ ენაზე გამოცემულ მეცნიერულ ნაშრომებს, გუტმანის სახელს ატარებს ჰოსპიტალი (Institut Guttmann), რომელიც მდებარეობს ბარსელონაში და სადაც მკურნალობენ კვადროპლეგიის და პარაპლეგიის მქონე ავადმყოფებს.

# საქართველოს პარაოლიმპიური მოძრაობა დღეს



*გიორგი ჯანელიძე*

საქართველოს ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი, მართალია, 2003 წელს დაფუძნდა, მაგრამ მისი ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარებისკენ პირველი ნაბიჯები გადაიდგა 2008 წელს, როდესაც პირველად საქართველოს ისტორიაში, პეკინის პარაოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობა მიიღო საქართველოს დელეგაციამ. შემდგომ წლებში ჩვენი პარასპორტსმენები მონაწილეობდნენ სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, პარასპორტის სხვადასხვა სახეობებში. სპორტული შედეგების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ წარმატებას კომიტეტმა 2015 წელს მიაღწია, როდესაც ქართველმა პარასპორტსმენებმა პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ძიუდოში, პარა-მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატზე კი, აიღეს ორი ოქრო, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები. „ამავე სახეობაში მაღალი სინჯის მედლები ჩამოვიტანეთ ევროპის ჩემპიონატიდან, ეტლით მოსარგებლე სპორტსმენ-მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე მოვიპოვეთ მეორე და მესამე ადგილები, ასევე გვქონდა წარმატებები სხვა სახეობებში სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში„, გვიამბობს საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლევან ოდიშარია, რომელიც აღნიშნულ თანამდებობას მიმდინარე წლიდან იკავებს. მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს იმისათვის, რომ პარაოლიმპიურ კომიტეტსა და მის საკურატორო სფეროში შემავალ სპორტის სახეობებს ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო მეტად განვითარების საშუალება მისცეს. მითუმეტეს, რომ ის 2011-2012 წწ, ამ კომიტეტის პრეზიდენტი იყო. როგორც თავად ბატონი ლევანი ამბობს, სპორტი ბავშვობიდან უყვარს, გატაცებული იყო მძლეოსნობით და იყო საშუალო მანძილებზე მორბენალი (800, 1500). აქტიური სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ, მიიღო უმაღლესი სპორტული განათლება საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში ჯერ სპორტის თეორიის განხრით, შემდეგ კი სწავლა კიევის სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტში განაგრძო სპორტის მენეჯმენტის სპეციალობაზე: „ვფიქრობ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, როდესაც გადავწყვიტე ჩემი პროფესიული საქმიანობა სპორტისთვის დამეკავშირებინა, რადგან სპორტს ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის ძლიან

გაგრძელება →

ბევრი კარგის მოტანა შუძლია, პირველ რიგში, ეს არის რა თქმა უნდა ადამიანების ჯანმრთელობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი, რაც მნიშვნელოვან პრევენციას წარმოადგენს მრავალი დაავადების წინააღმდეგ, ასევე მნიშვნელოვანია სპორტის როლი ქვეყნის წარმოჩენაში მსოფლიო დონეზე, რასაც უკვე ჩვენი პარასპორტსმენები საკმაოდ წარმატებით ახორციელებენ„. რაც შეეხება პარასპორტის საქართველოში განვითარებულ სახეობებს, აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე მეტად განვითრებულია წოლჭიმი. პირველი პარაოლიმპიელი სწორედ ამ სახეობაში გვყოლია. ასევე, ეტლით ფარიკაობა, სადაც ჩვენმა სპორტსმენებმა უმაღლესი რანგის შეჯიბრებებში მედლებიც მოიპოვეს: „მნიშვნელოვანი გამოცდილება გვაქვს ცურვაში. აქ ჩვენი სპორტსმენი ნიკა თვაური 2011 წლის მესამე პრიზიორია. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს-დღეობით კომიტეტი ასევე ხელს უწყობს მძლეოსნობის, ტყვიის სროლისა და მშვილდოსნობის განვითარებას“, ამბობს ბატონი ლევან ოდიშარია, რომელთან საუბარში პარასპორტის საქართველოში განვითარებული სახეობების სუსტ წერტილებსაც შევეხეთ: „პარასპორტი სპორტის ძალიან სპეციფიკური მიმართულებაა, რადგან საქმე გვაქვს სხვადასხვა სახის ნოზოოლოგიის მქონე სპორტსმენებთან, შესაბამისად მათთან მუშაობა მწვრთნელისგან მოითხოვს სპეციალურ განათლებას და მაღალ პროფესიონალიზმს, წვრთნის სპეციალური მეთოდებისა და ტექნოლოგიების ცოდნასა და გამოყენებას.  ამ მიმართულებით კომიტეტი აპირებს მოიწვიოს საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის ექსპერტები, რომლებიც ჩვენს მწვრთნელებს ჩაუტარებენ ლექცია-სემინარებს პარასპორტის სხვადასხვა სახეობებში. დარწმუნებული ვარ, ეს დახმარება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს წვრთნის ხარისხს და გაზრდის სპორტულ შედეგებს. ასევე არა საკმარისი ინფორმაცია გააჩნიათ სპორტსმენებს სპორტში გამოყენებული აკრძალული ნივთიერებების მავნებლობისა და გამოყენების დაუშვებლობის შესახებ, ამ კუთხით ჩვენი მხრიდან უფრო მეტია გასაკეთებელი„, აცხადებს გენერალური მდივანი. რაც შეეხება ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებს, ესაა არაადაპტირებული სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც განსაკუთრებით რეგიონებს ეხება. ასევე, საზოგადოების, მათ შორის, სპორტულ  საზოგადოებაში დაბალი ცნობიერების დონე: „სამწუხაროდ, ძალიან ბევრი სპორტის ამ მიმართულებას უყურებს როგორც რაღაც მეორეხარისხოვანს, ხშირ შემთხვევაში არ აღიქვამენ სერიოზულად. სინამდვილეში კი საქმე გვაქვს უმაღლესი მიღწევების სპორტთან, სადაც სპორტსმენები გადიან თავიანთი შესაძლებლობების ზღვარზე და ანცვიფრებენ მსოფლიოს“, გულისწყვეტით აღნიშნავს ბატონი ლევანი. სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, გენერალური მდივანი მიზნად ისახავს, რომ საქართველოში პარაოლიმპიური მოძრაობა მასობრივი გახდეს. სწორედ, ამ მიზნით ჩატარდა პარაოლიმპიური ფესტივალი და სასკოლო პარაოლიმპიური დღეები. ის გვპირდება, რომ ეს ტრადიცია აუცილებლად გაგრძელდება. რიოს ოლიმპიურ თამაშებზე პარაოლიმპიური კომიტეტი მონაწილეობას აპირებს უფრო მეტი სპორტსმენით, ვიდრე ეს იყო პეკინსა და ლონდონში: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთი ლიცენზია უკვე მოვიპოვეთ ძიუდოში, როდესაც ზვიად გოგოჭურმა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე პირველი ადგილი დაიკავა. ასევე სპორტის რამოდენიმე სახეობაში ვვარაუდობთ საგზურის აღებას„, ოპტიმიზმს არ მალავს ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი, ლევან ოდიშარია.

„იმედი +“-ის რედაქცია წარმატებებს უსურვებს როგორც პარაოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას, ასევე სპორტსმენებს.

## ზვიად გოგოჭურის წარმატება




ქართველმა პარაძიუდოისტმა, ზვიად გოგოჭურმა, წელს მსოფლიო თამაშებზე პირველობას, ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვებაც მიაყოლა და ოქროს დუბლი შეასრულა! პორტუგალიაში დასრულებულ კონტინენტის პირველობაზე, გოგოჭურმა რეიტინგის მოწინავე ფალავნები, ბრიტანელი სემ ინგრემი და უკრაინელი ალექსანდრ ნაზარენკო დაამარცხა, რითაც მომავალ ზაფხულს რიოში გასამართი პარაოლიმპიადის გამარჯვებისთვის სერიოზული განაცხადი გააკეთა.

საზოგადოება

# რა ვიცით უსინათლო სამყაროს ფერადი აღქმებისა და სოფო ხუციშვილის შესახებ

*ლალი ფაცია*





„ნიჭიერის" ერთ-ერთი კონკურსანტია, ხატავს და საზოგადოებას თავი ასეც გააცნო. მცირე დროში ისეთი ფერადი ტილო შექმნა, რომ მაყურებელი და ჟიური გაოცებული დატოვა...

უსინათლოა, ოღონდ, მას ეს ხელს არ უშლის იმაში, რომ საზოგადოების აქტიური წევრი იყოს.

სოფო ხუციშვილის მსგავსი პოზიტიური ადამიანი იშვიათად შემხვედრია. თავისი არსებობით ადამიანებს სტიმულს აძლევს და სითბოთი ავსებს.

საკმაოდ გულახდილი ინტერვიუ მომცა.

- სამ-წლინახევრის რომ ვიყავი, გრიპი შემეყარა, რასაც თვალების ანთება დაერთო. როცა უკვე თვალები ჩამიწითლდა, მშობლებმა ცნობილ კლინიკაში წამიყვანეს, სადაც არასწორად დაიწყეს მკურნალობა, - უამრავი "გენტამიცინი" მიმაღებინეს, რამაც თვალის მეორადი დაავადება ჩამოაყალიბა, ნელ-ნელა მხედველობის დაკლება და საბოლოოდ, მხედველობის დაკარგვა.

- ეს უკვე რა ასაკში მოხდა?

- სამწლი-ნახევრის გახლდით, პრობლემა რომ დაიწყო და საბოლოოდ, 4 წლისა უკვე ველარ ვხედავდი.

- სანამ მხედველობა გქონდა, იმ პერიოდიდან რა გახსოვს, - როგორი იყო სამყარო?

- სიმართლე გითხრათ, არფერი მახსოვს, ყველფერი ბუნდოვანია, შეიძლება რაღაც ფრაგმენტები მახსენდებოდეს, მაგრამ რამდენად რეალურია, არ ვიცი, მაგას მაშინ ვიტყვი, როცა მხედველობა დამიბრუნდება.

- რამდენი ოპერაცია გაქვს უკვე გაკეთებული?

- ორი წელია, რაც ზედიზედ ოპერაციებს ვიკეთებ. პირველი 2013 წელს გამიკეთდა, მერე - 2014-ში და ახლა ერთ კვირაში სტამბოლში ისევ მივდივარ, ფაქტობრივად, მესამე ოპრაციისთვის ვემზადები.

- ბავშვობაში რატომ არ გაგიკეთეს ოპერაცია?

- პატარაობაში სამედიცინო ჩარევა არ შეიძლებოდა, - ასე ამბობდნენ ექიმები. შესაძლოა, მხედველობა აღდგეს, მაგრამ მალევე დაიაკრგოს, ამიტომ გარისკვად არ ღირს. ჯერ თვალი ჩამოყალიბდეს, გაიზარდოს და გარდატეხის ასაკის შემდეგ გაკეთდესო. მოკლედ, ახლა უკვე 23 წლის ვარ და 20 წლისას გამიკეთდა პირველი ოპერაცია.

- რა შედეგი გამოიღო ამ ორმა ოპერაციამ?

- მხოლოდ შუქს ვხედავ და რაღაც სილუეტებს, მაგალითად, თუ დიდი საგანია ჩემს წინ, სილუეტის სახით ჩანს, ოღონდ, ადამიანია თუ უსულო საგანი, კონკრეტულად, ვერ ვარჩევ.

- მხედველობის დაკარგვის შემდეგ, როგორ განვითარდა შენი ცხოვრება, სად სწავლობდი, რა განათლება მიიღე?

- საქართველოში, სამწუხაროდ, უსინათლოთათვის ერთადერთი სპეციალიზირებული სკოლაა. ჩვენი სახელმწიფო არ არის იმისთვის მზად, რომ ჰქონდეს ამ მიმართულებით განვითარებული სისტემა ისე, როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაშია. ამიტომ არჩევანიც არ მქონდა, სხვა სკოლაში შევსულიყავი. იძულებით მიმიყვანეს იქ, სადაც ვისწავლე კიდეც. საკმაოდ კარგად ვსავლობდი, "ოქროს მედალზე" დავამთავრე.

2012 წელს აბიტურიენტი რომ გავხდი, ბატონმა შაშკინმა, მინისტრი რომ იყო, ლონდონში სპეციალურ კურსებზე გამგზავნა. აქტიური ცხოვრება მქონდა და დღესაც ასევე ვაგრძელებ. მართლაც, კარგი განათლება მივიღე.

- სად სწავლობ?

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. მომწონდა ეს სასწავლებელი, ბევრი კარგი რამ მსმენოდა მასზე და იქ სწავლა ამიტომ მომინდა. სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ვარ.

- როგორ სწვალობ, როგორ იღებ განათლებას, სპეციალური ლიტერატურა არსებობს?

- არა სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან ეს საკითხიც მოუწესრიგებელია, არ არსებობს ჩვენნაირი ადამიანებისთვის ადაპტირებული

გაგრძელება →

სახელმძღვანელოები, გარემო. დედის დახმარებით ვახერხებ განათლების მიღებას. მიკითხავს და მე ვიმახსოვრებ.

- სოფო, საუკეთესო მაგალითი ხარ ადამიანებისთვის, ანუ სტიმულის მიმცემი.

- ზუსტად ეგ მინდოდა, "ნიჭიერშიც" ამიტომ

მივედი, რომ სხვისთვის სტიმული ვყოფილიყავი და მგონი, გამომივიდა...

- ნამდვილად გამოგივიდა. ხატვა როდის დაიწყე?

- ზოგადად ბევრი მეგობარი მყავს გარშემო, ვისაც საკუთარ აზრებს, ემოციებს ვუზიარებ, მაგრამ არის ისეთი საკითხები, თემები, როცა კიდევ სხვა ფორმით მინდა, საკუთარი განცდილი გამოვხატო, ამიტომ ყოველთვის გვერდით მაქვს ფურცელი და ფანქარი.

თავიდანვე ასე იყო, როდესაც ცუდ ხასიათზე ვიყავი ხოლმე, ჩემს ოთახში განვმარტოვდებოდი და თითქოს ჩემი რაღაც ემოცია გადამქონდა ფურცელზე. ასე დაიწყო ჩემს ცხოვრებაში ხატვა.

- როგორ საზღვრავ და არჩევ, რომელი ფერი როდის უნდა გამოიყენო?

- მაქვს ჩემი ფერები, მაგრამ არ ვიცი, რამდენად რეალურია ისინი, - მათ ჩემს გრძნობებს ვუკავშირებ. თუ მწვანეში დავხატე, ვინც კარგად მიცნობს, მიხვდება, რომ იმ წუთას მშვიდი განწყობა მაქვს, რადგანაც მწვანე ჩემთვის სიმშვიდესთან ასოცირდება.

- თუ ფერი არ იცი, რომელია და როგორია, რანაირად ხვდები?

- ჰო, მაგრამ აქ დედის დახმარება მჭირდება. მას ვთხოვ, ესა თუ ის ფერი მომაწოდოს. თუ წითელში ვხატავ, ე.ი. იმედიანად ვარ, ან სიყვარულის განცდები მაქვს. წითელი ფერი ჩემთვის სიყვარულთან ასოცირდება.

- შეყვარებული ხომ არ ხარ?

- ამ ეტაპზე არა...

- როგორც ჩანს, იყავი...

- დიახ, მაგრამ დავასრულეთ ურთიერთობა (იცინის).

- როგორი ხარ როცა გიყვარს?

- ერთ დილას, როცა შეყვარებული ვიყავი, დედამ მითხრა, - შვილო, რა ბედნიერი თვალები გაქვსო... მაგ დროს ვგრძნობ, რომ ჩემგან სხივები გადის, ჩემი ბედნიერება მინდა, რომ სხვას გავუზიარო.

- რას გვეტყვი იმ ნამუშევარზე, რომელიც "ნიჭიერის" სცენაზე წარმოადგინე?

- წითელი, როგორც გითხარით, იმედთან ასოცირდება და მინდოდა, ხალხი იმედით ამევსო იმიტომ, რომ საზოგადოება თავისი პრობლემებით დათრგუნვილია. მინდოდა, მეთქვა, რომ თუ იმედით არ ვცხოვრობთ, ცხოვრებას აზრი არ აქვს. ყოველთვის უნდა გვქონდეს იმედი და ვისაც ის დაკარგული აქვს, მსურდა დამებრუნებინა. ლურჯი ფერი ჩემთვის სიახლესთან ასოცირდება.

როგორც პროექტში აღვნიშნე კიდეც, ზღვა მიყვარს და დიდი სურვილი მაქვს ხოლმე, რომ საათობით ვიჯდე მის ნაპირზე და მის ხმას ვუსმინო. ჩემი ერთ-ერთი ოცნებაა, ვუყურო მზის ჩასვლას ზღვის ნაპირზე, რადგანაც მაგ დროს საოცარი ფერებია იქ. დარწმუნებული ვარ იმაზე ლამაზია, ვიდრე წარმომიდგენია. მოკლედ, ასე უნებლიედ გავთქვი ჩემი ოცნება.

- კიდევ რა გიტაცებს და გიყვარს?

- მოგზაურობა თბილ ქვეყნებში.

- უცხო ქვეყანას როგორ აღიქვამ?

- გვერდით მყოფი ხომ მყავს და ის მეუბნება და მიხსნის ყველაფერს. რითაც ჩემი შეხვედრა ახალ ხალხთან, კულტურასთან ხდება, რასაც ძალიან დადებითი ენერგია მოაქვს.

- როგორ გგონია, რითი განსხვავდებით უსინათლო ადამიანები მხედველებისგან?

- მგონი, არაფრით, ისევე მიყვარს ლიტერატურა, ხატვა, ფეხბურთი, როგორც მხედველთ. „ბარსელონა" რომ იყო ჩამოსული, ავდექი და სტადიონზე წავედი, თავი არ შემიზღუდავს, უდიდესი სიამოვნება მივიღე. უბრალოდ, იმით განვსხვდებით მხედველებისგან, რომ მეტად მგრძნობიარეები ვართ. უფრო მეტად აღვიქვამთ გარშემო ყველაფერს. ყოველთვის ვგრძნობ ადამიანის "აურას". იმას, რასაც დედა ვერ ხვდება, მე არ გამომრჩება.

- რას იტყვი ჩვენს საზოგადოებაზე?

- არავინ მიწყინოს, მაგრამ მგონი, ცოტა არაჯანსაღი საზოგადოება ვართ...

თუ დაინახავენ ადამიანს, ვისაც ვერ ესმის, ან ვერ ხედავს, ვერ დადის, ამბობენ, - რა საცოდავია? იმას კი ვერ აცნობიერებენ, რომ მე უბრალოდ ვერ ვხედავ, თორემ არაჩვეულებრივად მესმის.

ამ მიმართულებით რაღაცეები ჩვენს საზოგადოებას აკლია. არ არის საჭირო მაინცდამაინც თვალი და ყური, რომ საზოგადოების სრულფასოვანი წევრი იყო. შეიძლება ვიღაცას ყურიც აქვს, თვალიც და არ იცის, ვინ არის შოთა რუსთაველი.

- ინტერნეტთან, სოციალურ ქსელთან თუ გაქვს წვდომა?

- ძალიან კარგად ვსარგებლობ "ფეისბუქით", "სკაიპით" და ინტერნეტის აქტიური მომხმარებელი ვარ, ვინაიდან არსებობს ხმოვანი პროგრამა, რომელიც უსინათლოებს კომპიუტერის გამოყენებაში ეხმარება.

- შენი ერთი ოცნების შესახებ კი გვითხარი. კიდევ რა გინდა, რომ აგიხდეს, გარდა იმ უმთავრესისა, რასაც მხედველობის დაბრუნება ჰქვია.

- ბევრი ოცნება მაქვს, ერთ-ერთი „კამპ ნოუზე", ბარსელონაში მოვხვდე და ჩემი საყვარელი ფეხბურთელების თამაშს დავესწრო, შევხვდე მათ და ვუთხრა, რომ ისინი მესიმ შემაყვარა. მათი დიდი გულშემატკივარი ვარ...

AMBEBI.GE

ადამიანის უფლებები

# სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც უსინათლოთათვის არ არსებობს




*ნინო თარხნიშვილი*

15 ოქტომბერს მსოფლიო თეთრი ხელჯოხის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ამ დღესთან დაკავშირებით დღეს „ინკლუზიური საზოგადოება - საქართველოს“ წარმომადგენლებმა პრესკონფერენცია გამართეს. ისინი მოითხოვენ უსინათლო და მცირემხედველთათვის შეიქმნას სპეციალური სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც უსინათლოებს გარემოსთან ადაპტირებაში დაეხმარება. რა სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება დღეს უსინათლოთათვის? არის თუ არა მათთვის განათლება ხელმისაწვდომი? რას ჰპირდება სახელმწიფო მათ, ვინც მხედველობა ზრდასრულ ასაკში დაკარგა?

მაცაცო ხაჭაპურიძემ მხედველობა ხუთი წლის წინ დაკარგა. მას არც კი უფიქრია სახლში დაჯდომა და უსაქმოდ დარჩენა. ნელ-ნელა თეთრი ხელჯოხის გამოყენება ისწავლა, რამაც დამოუკიდებლად გადაადგილება გაუადვილა და რამდენიმე თვის წინ მუშაობაც დაიწყო. დღეს ის შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი-ოპერატორია. მას ყოველდღიურად უწევს სამსახურში სიარული. იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქი უსინათლოთათვის, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად არაადაპტირებულია, მას ტაქსით გადაადგილება უწევს. სწორედ ეს არის დღეს მაცაცოს მთავარი პრობლემა - არამეგობრული, არაადაპტირებული გარემო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისათვის:

„მე ვერ ვახერხებ დამოუკიდებლად ქალაქში გადაადგილებას. მოუწესრიგებელია ტროტუარები, გადასასვლელები. შეიძლება იყოს ხმოვანი შუქნიშანი, მაგრამ მე არ მაქვს გარანტია, რომ მანქანა წითელზეც არ წამოვა და არ დამეჯახება„.

როგორც „ინკლუზიური საზოგადოება - საქართველოს„ ხელმძღვანელი გია ჯვარშეიშვილი ამბობს, საქართველოში დღეს, არაოფიციალური ინფორმაციით,12 ათასი უსინათლო ცხოვრობს. რეალურად მათი რიცხვი შესაძლოა უფრო დიდი იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ორი წლის წინ საქართველოს პარლამენტმა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, გია ჯვარშეიშვილის თქმით, ეს ორი წელი არ აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის, რომ უსინათლოთა ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ქმედითი ნაბიჯები გადადგმულიყო. მაგალითად, მისი თქმით, კონვენცია სახელმწიფოს პირდაპირ ავალდებულებს შექმნას უსინათლოთა და მცირემხედველი ადამიანებისთვის სარეაბილიტაციო ცენტრი, სადაც ისინი მათთვის საჭირო სხვადასხვა მომსახურებას მიიღებენ და უნარებს გამოიმუშავებენ:

„არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ სარეაბილიტაციო ცენტრი ეს არის მედიცინასთან დაკავშირებული დაწესებულება. ეს არის თავიდან ბოლომდე სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებისაკენ მიმართული ცენტრი. იქ ისწავლება თეთრი ხელჯოხის გამოყენება, სივრცეში ორიენტაცია, მობილობა, ხმოვანი კომპიუტერული პროგრამების დაუფლება, ბრაილის შრიფტის გამოყენების შესწავლა, საყოფაცხოვრებო უნარ-ჩვევების გამომუშავება და ა.შ.„.

გია ჯვარშეიშვილის თქმით, უსინათლოთათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება სათანადო განათლების მიღება. როგორც ის ამბობს, თბილისში არსებული ერთადერთი სკოლა-პანსიონი უსინათლო და მცირემხედველთა მოზარდებისათვის არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ეს საკითხი მოგვარებულად ჩაითვალოს, დანარჩენი საჯარო სკოლები კი არ არიან მზად უსინათლო მოზარდებისთვის სათანადო განათლების მისაცემად. 202-ე სკოლა-პანსიონში დღესდღეობით 40-მდე მოზარდი სწავლობს, მათგან 19 იქვე ცხოვრობს, ძირითადად რეგიონებიდან ჩამოსული მოზარდები. მოსწავლეები სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამით სწავლობენ, ერთადერთ განსხვავებას წარმოადგენს

გაგრძელება →

ის, რომ პროგრამა სრულად არის ადაპტირებული უსინათლო მოზარდთათვის. სკოლის დირექტორის მოადგილე თამარ ხვედელიძე რადიო თავისუფლებასთან საუბარში ამბობს, რომ უკანასკნელი ორი წელია, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო სახელმძღვანელოების ბრაილის შრიფტით დაბეჭდვა:

„ამ ეტაპზე სახელმძღვანელოების მხრივ პრობლემა არ გვაქვს. გვაქვს ყველა საგანში სახელმძღვანელოები. ყველა მოსწავლეს თავისი სახელმძღვანელო აქვს. ასე რომ, ეს ძალიან დიდი მიღწევაა ჩვენთვის და ძალიან დიდი შეღავათია მოსწავლეებისათვის, რადგან აქამდე ბავშვებს საგნების ზეპირად სწავლა უწევდათ„.

თამარ ხვედელიძის თქმით, დღეს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება საზოგადოების არაინფორმირებულობა და სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ უსინათლო მოზარდთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღეს განათლების სისტემის მიღმაა დარჩენილი.

რაც შეეხება სახელმწიფო პროგრამას, რომელსაც სახელმწიფო უსინათლოთა და მცირემხედველთა მიმართ ახორციელებს, ესაა პროგრამა „უსინათლო მოქალაქეების უზრუნველყოფა უსინათლოთა თეთრი ხელჯოხებით„, რომელიც 2013 წლიდან ამოქმედდა. ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის ტატა გამყრელიძის თქმით, მოთხოვნის შემთხვევაში, უსინათლოებს თეთრი ხელჯოხები უსასყიდლოდ გადაეცემათ. თუმცა, მისივე თქმით, მოთხოვნა ხელჯოხებზე არც ისე დიდია:

„პირებს, რომლებსაც სჭირდებათ ხელჯოხი, შემოაქვთ განაცხადი სოციალური მომსახურების სააგენტოში და შემდეგ სააგენტო გასცემს მათზე ხელჯოხებს. სტატისტიკის მიხედვით, მოთხოვნა დიდი არ არის. საშუალოდ წლიურად ასამდე ხელჯოხი გაიცემა„.

რაც შეეხება უსინათლოთა და მცირემხედველთა სარეაბილიტაციო ცენტრის არსებობის აუცილებლობას, რომლის შესახებაც „ინკლუზიური საზოგადოება - საქართველოს„ წარმომადგენლები საუბრობენ, სოციალური მომსახურების სააგენტოში ამბობენ, რომ მსგავსი ტიპის ცენტრის შექმნა ამ ეტაპზე არ იგეგმება. შესაბამისად, გია ჯვარშეიშვილის თქმით, ის ადამიანები, რომლებმაც ზრდასრულობის ასაკში დაკარგეს მხედველობა, რჩებიან იმ მომსახურების გარეშე, რომელიც მათ მომავალში გარემოსთან ადაპტირებას გაუადვილებდა.

15 ოქტომბერს მსოფლიო თეთრი ხელჯოხის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ეს დღე 1969 წლიდან აღინიშნება, საქართველო კი თეთრი ხელჯოხის საერთაშორისო დღეს 2011 წლიდან შეუერთდა.

http://www.radiotavisupleba.ge/content/usinatlota-problemebi/27307902.html

# სახელმწიფო ზრუნვიდან გასული ახალგაზრდების "დამოუკიდებელი" ცხოვრება

დიღმის ბავშვთა სახლში ვცხოვრობდი, როცა ერთ-ერთმა ცნობილმა ქართველმა მსახიობმა, რომელიც ახლა ამერიკაში ცხოვრობს ბავშვთა სახლში მცხოვრები ბავშვებისთვის ცეკვის გაკვეთილების ჩატარება გადაწყვიტა. მოდიოდა კვირაში ორჯერ. ცეკვის გარდა, გვესაუბრებოდა თავის ცხოვრებაზე, რომელიც ძალიან ჰგავდა ჩემსას, ისიც ჩემსავით დიღმის ბავშვთა სახლში ცხოვრობდა და გაიზარდა. ამ კაცის ცხოვრების ისტორიამ დიდი მოტივაცია მომცა. მინდა წარმატებული ვიყო და სხვებისთვის მაგალითად ვიქცე", - დიღმის ბავშვთა სახლში გატარებულ წლებზე საუბარი მირანდამ ამ ისტორიის მოყოლით დაიწყო.

ის ახლა 20 წლისაა, სახელმწიფო ზრუნვის სისტემა 2015 წლის ივნისში დატოვა და მას შემდეგ დამოუკიდებლად ცხოვრობს. დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე სირთულეებისა და წინააღმდეგობების შესახებ მოსაყოლი ბევრი აქვს, თუმცა ფიქრობს, რომ თავის თანატოლებთან შედარებით, რომლებმაც მასავით დატოვეს სახელმწიფო ზრუნვის სისტემა, მას უფრო გაუმართლა, რადგან ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების ფინანსური მხარდაჭერით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაბარებამდე სხვადასხვა საგნებში ემზადებოდა, რამაც ეროვნულ გამოცდებზე მის წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

10 წლის იყო, როცა დედა დაიჭირეს და პატარა დასთან ერთად პატრულმა გლდანში, რეაბილიტაციის ცენტრში გადაიყვანა. იქიდან დიღმის ბავშვთა სახლში, სადაც მის დახურვამდე 8 წელი იცხოვრა. ამბობს, რომ დიდ ინსტიტუციაში ცხოვრებას ბევრი უარყოფითი მხარე აქვს - ერთ სივრცეში ბევრი ბავშვი ცხოვრობს, მოზარდს შესაძლებლობა არ აქვს გამოუმუშავდეს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის

გაგრძელება →



საჭირო უნარ-ჩვევები; გარდა ამისა, ბავშვთა სახლის ადმინისტრაციას ბავშვების განვითარებისთვის ყველა საჭირო პირობის დაკმაყოფილების შესაძლებლობა არ აქვს, რაც, მისი აზრით, ბავშვების ნორმალურად განვითარებას უშლის ხელს. თუმცა, ხაზგასმით ამბობს, რომ ბავშვთა სახლში მზრუნველი და ყურადღებიანი აღმზრდელები ჰყავდნენ. მათთან ურთიერთობამ კი მისი პიროვნების ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

„7 წელი ვიცხოვრე იქ. მერე 2011-ში დიდი ინსტიტუციების დახურვა დაიწყეს. მოულოდნელად დაიხურა დიღმის ბავშვთა სახლიც. შემომთავაზეს, რომ წავსულიყავი ასპინძაში, მთელი ცხოვრება თბილისში ვიზრდებოდი და თან ამერიკულ აკადემიაში უნდა ჩავრიცხულიყავი, ამიტომ ამ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი. სოცმუშაკის დახმარებით მიმღები ოჯახი გამომიჩნდა, სადაც 2 წელი ვიცხოვრე. 18 წლისა კი მცირე საოჯახო ტიპის საცხოვრებელში გადამიყვანეს“, - ამბობს მირანდა.

მისი თქმით, დიდ ბავშვთა სახლსა და მცირე საოჯახო ტიპის საცხოვრისს შორის განსხვავება დიდია. მცირე საოჯახო ტიპის სახლში ცოტა ბავშვი ცხოვრობს და გარემო მართლაც ოჯახურია. აქ საკუთარი თავისა და საცხოვრებელი გარემოს მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებლობას შენც იზიარებ.

ოჯახური საცხოვრისის დატოვების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტზე ჩააბარა. ცხოვრობს ქალაქ რუსთავთან, საიდანაც უნივერსიტეტში სიარული უჭირს.

„ინსტიტუციის დატოვების შემდეგ დამოუკიდებლად ცხოვრება ძალიან მიძნელდება. მოშორებით ვარ ქალაქიდან, ტრანსპორტის გამოცვლა მიჭირს. ხშირად თანხაც არ მაქვს. უნივერსიტეტში დატვირთული გრაფიკი მაქვს და მუშაობასაც ვერ ვახერხებ. მე ჩემი მეგობრების დახმარებით ვცხოვრობ. ზოგს დამხმარეც არ ჰყავს და ინსტიტუციიდან გამოსულმა, არც იცის, სად წავიდეს“, - ამბობს მირანდა.

მირანდას თქმით, 18 წლის შესრულების შემდეგ სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული მოზარდებისთვის საცხოვრისები უნდა არსებობდეს. ასევე სისტემის დატოვებამდე სახელმწიფომ ბავშვებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემაზე უნდა იზრუნოს, რათა მათ უმაღლესში ან პროფესიულ სასწავლებელში სწავლის გაგრძელება შეძლონ. მირანდა ამბობს, რომ მნიშვნელოვანია ბავშვებს ინდივიდუალურად მომზადების შესაძლებლობა ჰქონდეთ, რადგან სკოლის განათლება ხშირად ოჯახში მცხოვრები ბავშვებისთვისაც კი არასაკმარისია იმისთვის, რომ ეროვნულ გამოცდებზე რეპეტიტორებთან მომზადებულ აბიტურიენტებს გაუწიონ კონკურენცია.

სახელმწიფოს ამ ეტაპზე არ აქვს 18 წლის შესრულების შემდეგ სახელმწიფო ზრუნვიდან გასული მოზარდების მხარდამჭერი სერვისები. კოალიციამ "ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის" მოამზადა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებისა და შემდგომი მხარდაჭერის კონცეფცია. მის მიხედვით, უნდა შემუშავდეს პროგრამა, რომელიც 14-18 წლის მოზარდებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებაში დაეხმარება და 18 წლის შემდეგ ახალგაზრდების მხარდაჭერას უზრუნველყოფს.

დოკუმენტის მიხედვით, მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში განვითარებულმა პროგრამებმა თუ მომსახურებებმა უნდა უზრუნველყონ:

• ახალგაზრდის ცხოვრებისეული უნარების განვითარება, რომელიც გულისხმობს ყოველდღიური ცხოვრებისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარების დაუფლებას. მაგალითად, ისეთი უნარებისა, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, სექსუალური განათლება, ჩაცმულობა, საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დაკმაყოფილება, ფულის ხარჯვა, ინტერესის სფეროების განვითარება, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან ურთიერთობა და სხვა.

•ახალგაზრდის ემოციური სტაბილურობა, რომელიც გულისხმობს საკუთარ თავზე ზრუნვას, სხვების დახმარების სურვილს, მომავლის რეალისტურად და ოპტიმისტურად ხედვასა და შეფასებას.

•ახალგაზრდის კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება, რომელიც გულისხმობს კომუნიკაციის, კონფლიქტების მართვის, კრიტიკული აზროვნების, ურთიერთობების დამყარების, მეგობრების შეძენისა და სხვა უნარ- ჩვევების ფლობას.

•ახალგაზრდის მიერ პროფესიის მიღების ხელშეწყობა, რომელიც გულისხმობს ზოგადი განათლების მიღებას, ინტერესებისა და ნიჭის გათვალისწინებით, დამატებით პროფესიული, უმაღლეს-პროფესიული ან უმაღლესი განათლების მიღებას, რათა შესაძლებელი გახდეს პროფესიის შეძენა. საქართველოს კოალიცია ბავშვთა და ახალგაზრდათა კეთილდღეობისათვის.

გაგრძელება →

ახალგაზრდის დასაქმება და შემოსავალი, რომელიც გულისხმობს სამუშაოს მოძიებას, დასაქმებასა და სტაბილური შემოსავლის არსებობას. საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა, რომელიც ახალგაზრდის მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილით დაკმაყოფილებას გულისხმობს.

იმ პროფესიების შექმნა/განვითარება, რომლებიც ახალგაზრდებს დაეხმარებიან დამოუკიდებელ ცხოვრებაში ტრანზიციის საკითხში (ეს გულისხმობს როგორც არსებულ, მაგ ალმზრდელები, მიმღები მშობლები, ისე ახალ პროფესიონალებს. მაგ. ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტები. პროგრამები/მომსახურებები ხელმისაწვდომია ყველა ბავშვისთვის და შეზღუდვის თუ სხვა განსხვავებულობისა.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ნუცა ოდიშარია პრობლემის არსებობას ადასტურებს და ამბობს, რომ 18 წლის შემდეგ მხარდამჭერი სერვისების განვითარების საჭიროება სახეზეა და სახელმწიფო არასამთავრობო სექტორთან ერთად შეიმუშავებს სტანდარტს, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორი უნდა იყოს ეს სერვისები.

http://liberali.ge/articles/view/19425/

# სიგარეტის მწარმოებლების მიერ გამხელილი საიდუმლო – თამბაქოს მომაკვდინებელი შემადგენლობა



სიგარეტში, გარდა ქაღალდისა და თამბაქოსა კიდევ 597 ინგრედიენტია.

გაიგეთ კიდევ რა შედის სიგარეტის შემადგენლობაში.

თამბაქო – მწვანედ შეფოთლილი მცენარე, რომელიც თბილ კლიმატურ პირობებში იზრდება. მისი გადამუშავებისას ფერმერები სხვადასხვა არომატებსა და დიდი რაოდენობით ქიმიურ ნივთიერებებს ურევენ.

თამბაქოს მწარე გემოს გადასაფარად ამატებენ ნივთიერებას, რომელიც კარგ გემოს სძენს, ამან კი სულ უფრო მეტი ადამიანი გახადა სიგარეტზე დამოკიდებული.

ამიაკი – ამატებენ, რათა ნიკოტინის ბოლი სწრაფად გაჯდეს ფილტვებში.

კიდევ რამდენიმე ინგრედიენტი, რომლებიც სიგარეტს უფრო გემრიელსა და არომატულს ხდიან:

ნიკელი – შხამი, რომელიც კუჭ-ნაწლავის პრობლემებს იწვევს;

ბენზოლი – გამოიყენება საღებავის შესაქმნელად;

დარიშხანი – თაგვის საწამლავის მოსამზადებლად იყენებენ;

ბუტანი – თხევადი აირი, რომელსაც სანთებელა შეიცავს;

ნახშიროჟანგი – მომწამლავი აირი;

კადმიუმი – ბატარეებისა და აკუმულატორების საწარმოებლად გამოიყენება;

ციანიდი – მომაკვდინებელი შხამი;

DDT – მომაკვდინებელი გაზი;

ეთილის ფუროატი – აზიანებს ღვიძლს;

ტყვია – ძლიერი მომწამლავი;

ფორმალდეჰიდი – გვამების ბალზამირებისა და შესანახად გამოიყენება;

ნაფტალინი – განმარტება არ სჭირდება;

მეთილიზოციანატი – 1984 წელს, ინდოეთში, მისმა შემთხვევითმა გაჟონვამ 2 000 ადამიანი იმსხვერპლა;

აცეტონი;

სიგარეტზე საუბრისას კი, მხოლოდ სამ შემადგენელ ნაწილს ახსენებენ: ნიკოტინი, ფისი და ნახშიროჟანგი

ნიკოტინი – ძლიერი შხამი, რომლის 1 წვეთი ცხენს კლავს;

ფისი – ნივთიერება, რომელიც ფილტვებზე რჩება, შედეგად ფილტვები შავდება და ხველება გეწყებათ;

ნახშიროჟანგი – შხამიანი აირი, რომელიც ხელს უშლის სრულფასოვან სუნთქვას, აზიანებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

თუ ფიქრობ, რომ მოწევას თავს ვერასდროს დაანებებ, იქნებ ამ სტატიის შემდეგ მაინც დაკარგო მოწევის სურვილი. გაუფრთხილდი შენსა და გარშემომყოფების ჯანმრთელობას!

http://dainteresdii.ru/?p=464

# სიკეთის სასწაული



*ლარინა მიქაია*

- ცუდი დაავადება დამიდგინეს - სიმსივნე. ლადო ხომ იცი, კახაძე? ექოსკოპიის ვირტუოზია. ჰოდა, რაღაც ეჭვები რომ შეეპარათ ექიმებს, ლადოსთან გამიშვეს. ლადომაც აწრიალა, აწრიალა ჩემს მუცელზე ეს ექოსკოპიის გორგოლაჭი და ბოლოს მითხრა, ცუდი დაავადება გჭირს კახიო... ერთი სიტყვით, გადაწყდა ჩემი გერმანიაში სამკურნალოდ გამგზავრება... ქალების ამბავი ხომ იცი, წასვლამდე ახლობელმა და ნათესავმა ქალებმა მირჩიეს, ამხელა გზაზე, თანაც სამკურნალოდ ისე ნუ წახვალ, ვიდრე მამაო არ დაგლოცავსო. მამაოს დავურეკე, დამლოცე-მეთქი... იმან კიდევ, - ჩვენმა უწმინდესმა და უნეტარესმა თქვა, კახი უნდა დავლოცოო... გამიხარდა...

დამლოცა პატრიარქმა. თავზე ხელი დამადო - დალოცვილი იყავიო... ახლა წამოდი ზემოთ ვიტრაპეზოთო. ზემოთ უზარმაზარი სუფრაა გაშლილი და ტორტი დევს. ამას ხელი არავინ მოჰკიდოს, ბატონი კახი გერმანიაში მიბრძანდება სამკურნალოდო...

ძლივს წამოვათრიე ის ტორტი, ერთი კვირა ჭამდა მთელი ჩემი სანათესაო და სამეზობლო...

გერმანიაში საავადმყოფოს ერთ-ერთ კაბინეტში ვზივარ და ექიმს ველოდები. კაბინეტში პუნქტუალური გერმანელი ექიმი შემოვიდა. სამედიცინო საწოლზე გამშოტეს. ძალიან უსიამოვნო პროცედურას მიტარებენ... ორგანიზმში რაღაც ნათურებიან მილებს მიდგამენ და ექიმი დათვალიერებას იწყებს. სულ 5-წუთიანი პროცედურაა... 5-წუთიანი პროცედურა ჯერ 10 წუთს გაგრძელდა, შემდეგ - 20 წუთს. დაფიქრებული ექიმი წამოდგა და მეორე ექიმი მოიყვანა. ახლა იმან დაიწყო უცნაურ მილში ჭიტინი, 5 წუთი, 10, 15... მერე გერმანელები ერთმანეთს მიუბრუნდნენ. აინ, ცვაინ, დღაინ, ნდღვა მუნდღვა, დღინ დღუნ... (კახიმ გერმანული არ იცის, მაგრამ არტისტია, გერმანელებს ბაძავს) ბოლოს მითხრეს, არაფერი გჭირსო... ეს იმიტომ, რომ აქ წამოსვლის წინ ჩვენმა პატრიარქმა დამლოცა-მეთქი. გაკვირვებულებმა შემომხედეს, გამომეტყველებაზე ეტყობოდათ, რომ ფიქრობდნენ: ეს ცოტა ვერ არისო... გავუმეორე, იმიტომ არ მაქვს არაფერი, რომ წამოსვლის წინ ჩვენმა პატრიარქმა დამლოცა-მეთქი. თქვენ სასწაულის გჯერათ? - მეკითხება გერმანელი ექიმი... მე სიკეთის ძალის მჯერა - ვეუბნები მას და ვემშვიდობები. ზურგს გერმანელი ექიმების ეჭვიანი მზერა მიწვავს...

თბილისში მოვფრინავ... ისევ ლადოს ექოსკოპიის კაბინეტში ვარ გაშოტილი. მან გერმანული ამბებისა არაფერი იცის... გაშტერებული მიყურებს, სასწაულია პირდაპირ, საწაული! არაფერი გაქვს, კახი, არაფერი...

სინამდვილეში არაფერი სასწაული არ მომხდარა. სიკეთის ძალამ გააქრო და დაშალა ბოროტება...

# სიყვარული და მონანიება

*თეოდორ დოსტოევსკი*



„ნურაფრისა გეშინია, არასოდეს შეგეშინდეს და ნუ ინაღვლებ, ოღონდ მონანიება არ დაივიწყო და უფალი ყველაფერს მოგიტევებს. ისეთი ცოდვა არ არსებობს და ვერც იარსებებს ამ ქვეყნად, რაც ჭეშმარიტ მომნანიებელს არ მიეტევება. და ვერც ჩაიდენს ადამიანი ისეთ დიდ ცოდვას, ღვთის უსაზღვრო სიყვარული რომ ამოწუროს.

განა არსებობს ცოდვა, ღვთის სიყვარულს,რომ აღემატებოდეს? მონანიება არ დაგავიწყდეს, მუდმივად მოინანიე და ილოცე, შიში კი განიგდე. გწამდეს,რომ უფალს ისე უყვარხარ, შენ რომ ვერ წამოიდგენ, სწორედ შენივე ცოდვით და შენსავე ცოდვაში უყვარხარ. ნათქვამია და ასეა – ერთ მონანულს უფრო მეტი სიხარული მოაქვს ცად, ვიდრე ათ

გაგრძელება →

მართალს, რომელთაც მონანიება არ სჭირდებათ. წადი და ნუ გეშინის. ადამიანები ნუ გადარდებს, წყენაზე ნუ გაბრაზდები, გარდაცვლილს გულში მიუტევე ყველაფერი, რითიც შეურაცხგყო და ჭეშმარიტად შეურიგდი..

თუ ინანიებ, გიყვარს კიდეც. და თუ გიყვარს, მაშასადამე, უკვე ღვთისა ხარ… სიყვარულით ყველაფერი მიეტევება, ყველა დაიხსნება.. და თუკი მე, შენნაირსავე ცოდვილს, გული შემიძარი და შეგიცოდე, მაშინ ღმერთი რაღას იზამს? სიყვარული შეუფასებელი საგანძურია, მთელ სამყაროს შეგაძენინებს, და არა მხოლოდ შენსას, სხვის ცოდვებსაც გამოისყიდი.“

ამონარიდი წიგნიდან: თეოდორ დოსტოევსკი – „ძმები კარამაზოვები“

თარგმანი: მზია გელაშვილი და ანა აბულაშვილი

http://www.4motivi.com

# ბრმად ბეჭდვის შესასწავლი მარტივი მეთოდი და წესები



ალბათ, ყველას გვქონია შემთხვევა ცხოვრებაში, როდესაც საჭირო იყო ტექსტის აკრეფა არათუ სწრაფად, არამედ ექსტრემალურად მცირე დროში, მაგრამ ზოგჯერ ამგვარ დავალებას თავს ვერ ვართმევთ.

გთავაზობთ საკმაოდ საჭირო უნარ-ჩვევის გამომუშავებას, ბრმად ბეჭდვას, რომელიც დაგავიწყებთ ტექსტის ნელა აკრეფის პრობლემას.

რითი დავიწყოთ?

იქამდე, სანამ დავიწყებდეთ ბრმად ბეჭდვას, საჭიროა ვისწავლოთ ტექსტის აკრეფისას 10-ვე თითის გამოყენება. დღეისათვის ამისათვის არსებობს უამრავი სპეციალური პროგრამა, ე.წ. წერის ტრენაჟორები. თუ თქვენ უკვე ფლობთ ამ უნარს, შეგიძლიათ ახლავე შეუდგეთ მომდევნო ეტაპს – ტექსტის ბრმად აკრეფა.

ბრმად ბეჭდვის წესები

1. ხელს არაფერი უნდა გიშლიდეთ – ეს წესი განსაკუთრებით ეხებათ გოგონებს: თუ თქვენ გრძელი ფრჩხილები გაქვთ, სწავლის პერიოდში მოგიწევთ დაემშვიდობოთ მათ.

2. არ უყუროთ კლავიატურას – ეს ყველაზე რთულია, მაგრამ თუ თქვენს მზერას თითებიდან არ გადაიტანთ, არაფერი გამოვა. უნდა მუშაობდეს არა მხედველობითი მეხსიერება, არამედ თქვენი თითები. ისინი დაიმახსოვრებენ კლავიშების ადგილმდებარეობას და ტექსტის აკრეფა გაცილებით იოლი გახდება. თუ თქვენთვის რთულია და დროდადრო მაინც უყურებთ კლავიატურას, გირჩევთ მიმართოთ ასეთ ხრიკს. აიღეთ თვითწებვადი ქაღალდი (რომელიც შემდეგ იოლად ძვრება) და დაფარეთ ყველა ღილაკი. ამ შემთხვევაში სწრაფად გადაეჩვევით ქვევით ყურებას, ვინაიდან იქ მაინც ვერაფერს დაინახავთ.

3. ხელები უნდა იყოს განლაგებული სწორ პოზიციაზე (A, S, D, F – J, K, L, ; ) მარცხენა ხელი (ნეკა თითი, არათითი, შუა და საჩვენებელი) ასოებზე A, S, D, F, ხოლო მარჯვენა J, K, L, ;






ტექსტის აკრეფის დამხმარე სქემა

1. ადგილის გამოტოვების ღილაკს ცერა თითები ეხებიან მონაცვლეობით, ანუ თუ ბოლო ასო, სიმბოლო წინადადებაში აკრეფილია მარცხენა ხელით, მაშინ მარცხენა ხელით გამოტოვებთ ადგილს ტექსტში – და პირიქით. „სიმშვიდის პერიოდში„ ცერა თითები ჰაერშია ამ ღილაკის ზევით.

2. ღილაკის დაჭერა ხდება უახლოესი თითით, დაჭერისას ინაცვლებს მხოლოდ ერთი თითი, რის შემდეგადაც იგი ბრუნდება საწყის პოზიციაზე. ამავე წესით იწერება დიდი ასოები, თუმცა ამ დროს თავისუფალი ხელის ნეკა თითი აჭერს Shift ღილაკს.

გაგრძელება →

3. დაისახეთ მიზნად დაიმახსოვროთ, რომელი ასო სად მდებარეობს კლავიატურაზე, მთავარია – დაიმახსოვროთ, რომელი თითით და რომელი მოქმედებით უნდა აკრიფოთ საჭირო სიმბოლო. თქვენს ქვეცნობიერში თქვენ უნდა დაუკავშიროთ თითების მოძრაობა გარკვეულ ასოს.

წყარო: http://edu.aris.ge/

# ᲒᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲝᲑᲐ



*თიკო მაისურაძე*

გონებრივი ჩამორჩენილობის განსაზღვრა:

გონებრივი ჩამორჩენილობა ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმაა. რომელიც ხასიათდება ინტელექტუალური ფუნქციონირების ნორმაზე დაბალი მაჩვენებლითა და ყოველდღიური უნარ-ჩვევების შეზღუდვით. აღნიშნული მდგომარებოა ხშირად თავს იჩენს დაბადებიდან, ან ვლინდება 18 წლამდე ასაკში. გონებრივი ჩამორჩენილობა განისაზღვრება 2 კრიტერიუმით:

1. პიროვნების ინტელექტის დონე, რომელიც პიროვნების გონებრივი შესაძლებლობების ციფრობრივ მაჩვენებელ – IQ კოეფიციენტს იძლევა; ნორმალური IQ_ 90-110-ის ფარგლებშია; 80-89 _ ნორმის ქვედა ზღვარია; 70-79_ მოსაზღვრე მდგომარეობაა. ჩამორჩენილობის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია მაშინ, როდესაც IQ _ 70-ზე დაბალია.

2. ადაპტაციური ფუნქციონირების ხარისხის მაჩვენებელი, რომლითაც განისაზღვრება, თუ რამდენად შეუძლია პიროვნებას ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო მოქმედებების შესრულება. როგორიცაა კომუნიკაცია, თვითმომსახურეობა, სოციალური უნარ-ჩვევები, სწავლა, მუშაობა, დასვენება, საოჯახო საქმიანობა.

არსებობს გონებრივი ჩამორჩენილობის სხვადასხვა ხარისხი. იგი დამოკიდებულია განვითარების დარღვევის ხარისხზე, რაც შემეცნებითი, ემოციური და ნებელობითი სფეროს განვითარების დონეში ვლინდება ასაკობრივ ნორმასთან შედარებით.:

მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა:

IQ _ 50-70ქულა;

მოიცავს გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსახლეობის 85%-ს;

აღნიშნული კატეგორიის მქონე პირები ხშირად ითვისებენ აკადემიურ უნარებს დაახლოებით მე-6 კლასის დონემდე, შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება და ახლობლებისა და საზოგადოების დახმარებას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში საჭიროებენ;

საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობა:

IQ _35-50 ქულა;

მოიცავს გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსახლეობის 10%-ს;

აღნიშნული კატეგორის პირები, ხშირად კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს ადრეულ ბავშვობაში ეუფლებიან და გარკვეული ზედამხედველობის პირობებში ახერხებენ შედარებით დამოუკიდებლად ცხოვრებას;

მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა:

IQ _20-35 ქულა;

მოიცავს გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსახლეობის 3-დან 4%-მდე;

აღნიშნული კატეგორიის მქონე პირებს, ხშირად შეუძლიათ ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ისეთი უნარ-~ჩვევების ათვისება, როგორიცაა დასუფთავება და ჩაცმა. ისინი ყოველდღიურ დახმარებას საჭიროებენ ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებში;

ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა:

IQ _ 20-ზე ნაკლები ქულა;

მოიცავს გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსახლეობის 1დან 2%-ს;

